„ლეიბორისტები" სიურპრიზს ამზადებენ
A3

ბიუჯეტის ხარჯები ისევ ძალოვანი უწყებების აქტიურობის იმედით იზრდება
A4

ბიძინა ივანიშვილი: "საქართველოში, ბანკის გარდა, ყველაფერს ვყიდი"
A4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 9 აპრილი, 2005 წელი. №80 (940)

ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

### ასკარ აკაევს პრივილეგიები ჩამოართვეს



ყირგიზეთის დევნილი პრეზიდნეტის ასკარ აკაევის მიერ გადადგომის შესახებ ჯერ კიდევ ორშაბათს დაწერილი განცხადება დღემდე არ არის დაკმაყოფილებული. თუმცა, როგორც გუშინ გაირკვა, ყირგიზეთის პარლამენტს ამ საკითხთან დაკავშირებით ბარიერები მოეხსნა და უახლოეს მომავალში მიიღებს ქვეყნის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი პრეზიდენტის "თხოვნას".

A3

## უცხოეთი

### ლუკაშენკოსთან ბრძოლისთვის ოპოზიცია 5 მილიონ დოლარს მიიღებს

აშშ-ს სენატის ასიგნირების კომიტეტმა ბელორუსის ოპოზიციის მხარდასაჭერად 5 მილიონი დოლარის გამოყოფას ერთხმად დაუჭირა მხარი.
ამის შესახებ ამერიკის სენატის სამდივნოში განაცხადეს, სადაც ხუთშაბათს სენატის კომიტეტის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი შევიდა.

A3

## ეკონომიკა

### ნავთობიმპორტიორები დიზელის აქციზის დაწევას ითხოვენ



ნავთობპროდუქ-ტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი დიზელის საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმების ინიციატივით გამოდის.

A4

## ამინდი

| | 9/4 | 10/4 | 11/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 22 | 24 |
| ქუთაისი | 20 | 23 | 26 |
| ბათუმი | 21 | 24 | 25 |
| სოხუმი | 21 | 24 | 24 |
| ფოთი | 22 | 24 | 25 |
| თელავი | 16 | 21 | 24 |
| ზუგდიდი | 22 | 24 | 26 |
| გორი | 14 | 19 | 22 |
| ახმეტა | 17 | 21 | 24 |
| ჭიათურა | 17 | 21 | 24 |
| გაგრა | 20 | 23 | 23 |
| სამტრედია | 21 | 23 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8325 |
| ევრო | 2.3606 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4469 |
| რუბლი | 0.0656 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | სპორტი | B3 |
| ამბები | A4 | სხვადასხვა | B4 |


# ნაპრალი ღირსებასა და მოვალეობას შორის

გიორგი ასანიშვილი

*ოპოზიცია უკმაყოფილოა იმით, რომ ფინანსთა მინისტრმა საკუთარი ღირსების შელახვის ფაქტზე თვალი დახუჭა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები კი ვალერი ჩეჩელაშვილის საქციელს ამართლებენ და აცხადებენ, რომ მინისტრი სწორად მოიქცა, როდესაც თავისი პიროვნული ღირსების დაცვაზე წინ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება დააყენა.*

გუშინდელი მწვავე საპარლამენტო დებატების მიზეზი გახდა ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის სატელეფონო საუბრების გამომზეურება, რომელშიც ის თავის შეფს უშვერი სიტყვებით მოიხსენიებს.

**"ნუთუ, ღირსება იმად არ გიღირთ, რომ ადამიანი, რომელიც სამი ასოსგან შემდგარი სიტყვით მოგიხსენიებთ, თქვენს გვერდით არ გააჩეროთ? მით უფრო, თქვენი შეურაცხყოფის გარდა, კეზერაშვილი იმაზეც საუბრობდა, რომ ტენდერის ჩატარების გარეშე, პირდაპირ ბაზრობაზე შეეძინა სამსახურებრივი ავტომობილები, რაც აშკარა კანონდარღვევაა,"** - ფინანსთა მინისტრისგან საკუთარი პოზიციის გამოხატვას ითხოვდნენ "რესპუბლიკელები", რომელთა ინიციატივითაც გუშინ პარლამენტში სამთავრობო საათი მოეწყო.

ვალერი ჩეჩელაშვილის პასუხით ოპოზიციონერი დეპუტატები ფრიად გაწბილებულები დარჩნენ. **"პიროვნულ სიბრტყეში საკითხის გადატანას არ ვაპირებ. რაც შეეხება**

გაგრძელება A3 გვერდზე



ფინანსთა მინისტრმა "რესპუბლიკელებისგან" არაერთი მწარე სიტყვა მოისმინა.

იური მეჩითოვის ფოტო

# "ვარდები საქართველოდან"



B1

## მოლაპარაკებები რუსეთის ზეწოლის ქვეშ

**"ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესი, საკმაოდ დიდი ხანია, მიმდინარეობს და აშკარაა კიდევ დიდხანს გასტანს, რადგან არსებული პრობლემები აწონილ, მშვიდ მიდგომასა და გადაჭრას ითხოვს,"** – განაცხადა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ჟენევაში, სადაც საქართველოს საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის შეხვედრა მიმდინარეობს.

მისივე თქმით, სოხუმი მზად არის, თბილისთან ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებები გააააქტიუროს, მაგრამ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვას არ აპირებს. შამბას თქმით, ჟენევაში არ მიმდინარეობს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები. **"ეს არის გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების შეხვედრა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების თაობაზე, რომელსაც ქართული და აფხაზური მხარეები თავიანთი პოზიციის შესახებ ინფორმაციას აწვდიან,"** - დასძინა მან.

ჟენევის მოლაპარაკებებზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გოგა ხაინდრავამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ შეხვედრაზე **"რუსეთის ზეწოლა იგრძნობა და ეს ცალსახად ჩანს."** ხაინდრავას თქმით, საკითხებმა, რომელიც წინასწარ იყო შეთანხმებული, **"არ ჰპოვა სათანადო ასახვა დღის წესრიგში, რის დაფიქსირებასაც მოვითხოვთ დასკვნით განცხადებაში."**

თუმცა, სხვას ფიქრობს რუსული მხარე. ჟენევაში შეხვედრის მონაწილეემ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მხარეები ოპტიმისტურად არიან განწყობილი. **"მე ოპტიმისტი ვარ და ეს მთავარია. ვფიქრობ, დანარჩენებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანხმობის მიღწევის თვალსაზრისით, ყველაფერი არც ისე მარტივადაა,"** – განაცხადა მან.

*24 საათი*

## ინტერესთა კონფლიქტი

### რუსეთის ლიბერალური ოპოზიცია "მემარცხენეობას" არჩევს

რუსული საინფორმაციო სააგენტო "რიანოვოსტის" მიერ გავრცელებული ცნობებით, რუსეთის ლიბერალური ოპოზიცია, გარი კასპაროვისა და ვლადიმირ რიჟკოვის ლიდერობით, "მემარცხენეობისკენ" იხრება. სოციალური ორიენტირის არჩევისაკენ ოპოზიციონერებს მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა სიფრთხილით გამოწვეული სიძუნწე უბიძგებს. როგორც ჩანს, მაღალი რისკფაქტორის პირობებში რუსი ბიზნესმენები პოლიტიკურ პროექტებში კაპიტალის ინვესტირებას ერიდებიან.

პარტიის "ნაშ ვიბორ" ლიდერი ირინა ხაკამადა კი მიიჩნევს, რომ ოლიგარქებმა შემოსავალი პენსიონერებს უნდა გაუნაწილონ, ხოლო პრივატიზაციის ავტორებმა დროა, მოინანიონ. "რა თქმა უნდა, იყვნენ ლიბერალები, მაგრამ ისინი უფრო "ლიბერტარიანობისკენ" (თავისუფალი ნების დოქტრინის მომხრეები) იხრებოდნენ, რომლებმაც "მიუშვეს" ეკონომიკა და ხალხი დაივიწყეს. ახლა უკვე განმანათლებლური სოციალ-დემოკრატიის ეპოქა დგება", - აცხადებს ხაკამადა.

"პრივატიზაციის მამებისადმი" "იაბლოკოს" დამოკიდებულება გაცილებით უფრო შეუბრალებელია, ვიდრე კომუნისტებისა. "ლიბერალური ოპოზიციის უმთავრესი ამოცანაა ხელისუფლებასთან გარიგებაში არმყოფი მსხვილი კაპიტალის ინტერესების დაცვა. თუმცა, ჩვენი მიზანი მხოლოდ მდიდრების დაცვა არ ყოფილა. ჩვენ დემოკრატიული და არა ოლიგარქიული ოპოზიციის პარტია ვართ", - განაცხადა "იაბლოკოს" წარმომადგენელმა ბორის ვიშნევსკიმ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პროტესტის ნიშნად - თანამდებობის დატოვება

*11 მარტს კახეთში "კონსერვატორების" რეგიონული ორგანიზაცია დაფუძნდება. მანამდე კი პარტიის წევრები სახელისუფლებო სტრუქტურებში დაკავებულ თანამდებობებს ტოვებენ.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

თელაველი გია ხაზიური მრავალი წელია, რაც რაიონის საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელია, მაგრამ მან, პროტესტის ნიშნად, უკვე მეორე დღეა, რაც აღნიშნული უწყება დატოვა. მისთვის მიუღებელია ახალი საგადასახადო კოდექსი.

გია ხაზიური "კონსერვატორებში" უკვე რამდენიმე თვეა, რაც გაწევრიანდა და ამჯერად ოპოზიციური პარტიის თელავის წარმომადგენლობის ხელმძღვანელია.

გია ხაზიური კატეგორიულად უარყოფს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად არჩევასა და სამსახურიდან წამოსვლას შორის კავშირს და აცხადებს, რომ საგადასახადო ინსპექციაში დაკავებული თანამდებობა არასწორი საგადასახადო სისტემის გამო დატოვა.

# აფხაზები ქართულ კვალს ეძებენ

აფხაზური პროკურატურა პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმის ორგანიზებაში ქართული სპეცსამსახურების მონაწილეობას არ გამორიცხავს.

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ჯამალ გოგიას განცხადებით, თავდასხმა ანქვაბის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება და ამ ეტაპზე ისინი, ძირითადად, თავდასხმის სამ ვერსიაზე მუშაობენ.

მისივე განმარტებით, პირველი ვერსიით, ეჭვმიტანილებად მიიჩნევიან ბიზნესმენები, რომლებსაც წინა ხელისუფლებასთან კორუფციული გარიგებები აკავშირებდათ და ახალი ხელისუფლების პირობებში სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის გამკაცრებაში თავიანთი ეკონომიკური ინტერესებისთვის რეალურ საფრთხეს ხედავენ.

მეორე ვერსიით, ეჭვქვეშ კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები ხვდებიან, რომელთა ინტერესში კრიმინალიტეტთან ხელისუფლების გამკაცრებული ბრძოლა არ შედის და ანქვაბზე პერმანენტული თავდასხმებით მის დაშინებას, ან ლიკვიდაციას ცდილობენ. ჯამალ გოგია მესამე ვერსიად, აფხაზეთში დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით, ანქვაბზე თავდასხმაში საქართველოს სპეცსამსახურების მონაწილეობას არ გამორიცხავს.

**ინტერ-პრესი**

# ევროკავშირი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არსებულ ვითარებას შეისწავლის

საქართველოში ამ დღეებში ჩამოვიდა ევროკავშირის სამკაციანი ჯგუფი, რომელიც რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთოს მონიტორინგის შეწყვეტის შემდეგ არსებულ ვითარებას შეისწავლის.

როგორც სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰეიკი ტალვიტიემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჯგუფი საქართველოში სამი თვით დარჩება და შესაბამის მოხსენებას მოამზადებს. სწორედ ამ მოხსენების განხილვის შემდეგ გადაწყდება, რა ნაბიჯებს გადადგამს ევროკავშირი საზღვარზე წესრიგის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება ევროკავშირის ახალ სამეზობლო ინიციატივას, რომელშიც საქართველოც არის ჩართული, როგორც ტალვიტიემ აღნიშნა, საქართველოსთვის ინდივიდუალური მოქმედების პროგრამა 2006 წლის შემოდგომისთვის უკვე მზად იქნება.

მისივე თქმით, აღნიშნული პროგრამა, რომლის შესრულებამაც ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი უნდა დააჩქაროს, სამ წელზე იქნება გათვლილი.

ტალვიტიეს განცხადებით, პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება კანონის უზენაესობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე, კერძოდ - საზღვრის დაცვაზე, დამოუკიდებელი სასამართლო და პენიტენციარული სისტემების შექმნაზე.

**მედიანიუსი**

# მოლაპარაკებები უკომენტაროდ დასრულდა

ქართულ-რუსული მოლაპარაკებები სამხედრო საკითხებზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დასრულებულია. რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი აღნიშნული მოლაპარაკებებით კმაყოფილია. მისი შეფასებით, მომავალი მოლაპარაკებებისთვის ნიადაგი მომზადებულია და იმედია, რომ ყოველივე ეს მომავალში შედეგს გამოიღებს. რამე სახის სხვა კომენტარის გაკეთებისგან როგორც რუსული, ასევე ქართული მხარეები თავს იკავებენ.

**ინტერ-პრესი**


# საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,700,000 (ერთი მილიონ შვიდასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 12 აპრილს, გამოტანილ იქნება N11 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 13 აპრილს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 13 აპრილის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*


# არსებობს განსხვავება?

**აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე არა, მაგრამ ავტომანქანების შეძენაზე ნამდვილად ფიქრობენ**

*მაშინ, როდესაც აჭარის მაღალმთიანი რაიონის მოსახლეობა დამეწყრილია, როცა საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად აჭარაშიც უმუშევრობის პრობლემა მწვავედ დგას და საქველმოქმედო თუ სახელფასო, ასევე სასტიპენდიო თანხები დაგვიანებით რიგდება, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მათთვის უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტით - ავტომანქანების შეძენის საკითხით არიან დაკავებული. უახლოეს ხანში აჭარის დეპუტატები მანქანებს შეიძენენ. ერთ-ერთი არგუმენტი, რომლითაც უმაღლესი საბჭოს წევრები ავტომანქანების შესაძენად ბიუჯეტიდან 120000 ლარის გამოყოფას ამართლებენ, დეპუტატების ამომრჩევლებთან ურთიერთობის გამარტივებაა, თუმცა გაურკვეველია, როდის მოიცლიან სამოგზაუროდ დეპუტატები, რომლებიც რაიონებიდან ჩამოსულ ამომრჩევლებს ხშირად კაბინეტებშიც არ ღებულობენ. რამდენიმე ხნის წინ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ხმა არ მისცეს ცვლილებებს რეგლამენტში და შედეგად ახალი ოპოზიციური ფრაქციის შექმნა დაბლოკეს, მიზეზად მაშინ საჭირო თანხების უკმარისობა დასახელდა, ამჯერად კი ავტომანქანების შეძენის სურვილმა დაჩრდილა ეს არგუმენტიც და ის სოციალური პრობლემებით დატვირთული ხალხიც, რომელთა გაჭირვების ნაწილობრივ მოგვარება აღნიშნული თანხით შეიძლებოდა.*

შორენა გოგიძაიშვილი
რეზო ძნელაძე
*ბათუმიდან*

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისთვის მანქანების შეძენის გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე იქნა მიღებული.

ეს გადაწყვეტილება რეგიონის ბიუჯეტს, რომელიც მოქალაქეთა ჯიბეებიდან ივსება, 120 000 ლარი დაუჯდება. **"ხუთი კომიტეტი, ფრაქცია, სპიკერატი - მთლიანად ეს პარკი მოიცავს რვა მანქანას, დამატებით ორი მანქანა გადაეცემა მაჟორიტარ დეპუტატებს, რათა ყოველდღიურად შეძლონ ხალხში გასვლა, რადგან დღევანდელ პირობებში შეუძლებელი იყო ამ საკითხის გადაწყვეტა. როდესაც სხვადასხვა პრობლემა გროვდება, სასწრაფოდ გადაადგილებაა საჭირო და ამის გაკეთება სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ვფიქრობ, რომ დეპუტატები არა მარტო მანქანებით, არამედ კომპიუტერებითაც უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი,"** - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მერაბ ქიძინიძემ. სავარაუდოდ, დეპუტატებისათვის 1993-94 წლების გამოშვების მანქანებს შეიძენენ.

აღნიშნული საკითხით უმაღლესი საბჭოს ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი დეპუტატი მურმან დუმბაძე გაღიზიანდა. **"ვერაფრით ვერ ვანსხვავებ დღევანდელ უმაღლეს საბჭოს მისი წინამორბედი უმაღლესი საბჭოსაგან თანხების ფლანგვის საკითხში. ესენი ძირითადად ფიქრობენ, რომ მიიღონ პენსიები, ჰქონდეთ მაღალი ხელფასები და უზრუნველყოფილი იქნენ ავტომანქანებით, თუ სხვა სამუშაო ფართობებით, რაც ბუნებრივია ნიშნავს იმას, რომ ისინი ნაკლებად ფიქრობენ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე და თანხების ყაირათიანად მოხმარებაზე,"** - განაცხადა მურმან დუმბაძემ და დასძინა, რომ მანქანების შეძენის საკითხს უმაღლეს საბჭოში ოპოზიციის გარდა სხვა დეპუტატებიც არ დაუჭერენ მხარს. მურმან დუმბაძის განცხადებით, საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა სხვა ორგანიზაციებშიც ხდება, ამის მაგალითად იგი საზღვაო ნავსადგურს ასახელებს, სადაც სამკაციანი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ავტომანქანების შესაძენად 90 000 ლარი გამოიყო.

ავტომანქანების შესყიდვის საკითხს უმაღლესი საბჭო მალე დასამტკიცებლად სესიას წარუდგენს. ამ აუცილებელი პროცედურის შემდეგ ტენდერში გამარჯვებული პირი, გვარად პაპიძე, მანქანების გერმანიიდან ჩამოსაყვანად ნებართვას მიიღებს.

# ფოთის საკრებულოს წევრის ბრალდებები

*ქალაქში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ფოთის საკრებულოს წევრმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მერაბ ასანიძემ პრესისთვის რამდენიმე განცხადება გააკეთა. საგანგებო ბრიფინგზე მან ცენტრალური ხელისუფლებისა და სამხარეო ადმინისტრაციის მიერ ქალაქში განხორციელებულ პოლიტიკას "საკადრო პოლიტიკის საბოტაჟი" უწოდა.*

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

ძირითადი აქცენტი ნავსადგურზე გაკეთდა, სადაც, ასანიძის თქმით, ფოთელების არაადგილობრივი თანამშრომლებით ჩანაცვლება შეგნებულად მოხდა და ტვირთბრუნვითი მაჩვენებლებისა და შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ასევე შეგნებულად იბლოკება.

**"სანამ ნავსადგურს ჯემალ იმნაიშვილი ხელმძღვანელობდა, ქალაქი სრულ ინფორმაციას ფლობდა და, ავად თუ კარგად, ვახერხებდით, საკრებულოს სხდომებზე მისი მოხსენება მოგვესმინა. დღეს პორტს საბიუჯეტო ანგარიშზე განსაზღვრულზე გაცილებით ნაკლები თანხა შემოაქვს და მის უფროსთან შეხვედრა არათუ ჩვენთვის, არამედ ქალაქის მერისთვისაც პრობლემად იქცა,"** - განაცხადა ასანიძემ.

ნავსადგურთან მიმართებაში საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს თავისი მოსაზრება აქვს და ვარაუდობს, რომ არის პორტის არარენტაბელურად გამოცხადებისა და შემდგომ ნულოვანი აუქციონის წესით გაყიდვის მცდელობა. **"თუ ეს დამტკიცდა, საწინააღმდეგო მოძრაობას პირადად ჩავუდგები სათავეში,"** - ირწმუნება ასანიძე.

მან პრესის ყურადღება იმ ფაქტზეც გაამახვილა, რომ ქალაქს ტრანსფერის სახით თანხა საერთოდ არ ერიცხება და ყოველწლიურად, დაახლოებით 4 მილიონ 500 ათასი ლარი იმ ღონისძიებებზე იხარჯება, რომელიც, წესით, არა ადგილობრივი, არამედ ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს.

თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის განცხადებით, ადგილი აქვს საკრებულოს წევრებზე ზეწოლას, მათ პოლიტიკურ დევნას, რაც საბოლოოდ, საკრებულოს დაშლისკენაა მიმართული. **"დაპირისპირების მეორე ფაზა იწყება. ფოთთან მიმართებაში ცენტრის დამღუპველი პოლიტიკა ფეთქებადია,"** - თქვა ჟურნალისტებთან შეხვედრის ბოლოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

# თურქული სამხედრო ხომალდის ვიზიტი ფოთში

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

8 აპრილს ფოთს სამდღიანი არაოფიციალური ვიზიტით ესტუმრა თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობის კუთვნილი ხომალდი TCG GOKSU (F-497). ვიზიტის ფარგლებში იგეგმება შეხვედრები ქალაქის ხელმძღვანელობასა და სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობასთან, ფოთელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის დათვალიერება, ხელოვნების მოღვაწეთა კონცერტზე დასწრება და ადგილობრივ საფეხბურთო გუნდ "კოლხეთი 1913"-თან ამხანაგური მატჩი. TCG GOKSU-ს ეკიპაჟის წევრები მონაწილეობას მიიღებენ 9 აპრილის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

**"ეს მეგობრული ვიზიტია. მისი მიზანია, აჩვენოს მსოფლიოს, რომ თურქეთსა და საქართველოს კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობა აქვთ და ორი ქვეყნის ურთიერთობა არა მარტო საბაზრო და ეკონომიკურ კავშირებს, არამედ შეიარაღებული ძალების ურთიერთთანამშრომლობასაც ითვალისწინებს. ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ და ცოდნასა და გამოცდილებასაც გავუზიარებთ,"** - განაცხადა თურქეთის კონსულმა ბათუმში, შევქი მუთევველიოღლუმ.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარ შტაბში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც თურქულ მხარესთან ერთად უკრაინის, რუმინეთის, ჩინეთის სამხედრო ატაშეები და ამერიკის შეერთებული შტატების ატაშეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, გაიმართა საუბარი შემდგომ ერთობლივ პროექტებსა და იმ დახმარებაზე, რომელიც შესაძლოა უცხოელმა პარტნიორებმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გაუწიონ. სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან ბაქრაძემ არა მარტო ტექნიკური აღჭურვილობის განახლებასა და შევსებაში, არამედ თეორიულ მომზადებაშიც ითხოვა დახმარება.

**"თურქული სამხედრო ხომალდი ფოთში თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე სასწავლო წვრთნა "ბლექსიფორის" პერიოდში შემოვიდა. ეს ნიშნავს თურქული მხრიდან საქართველოს მორალურ მხარდაჭერასა და კეთილი ურთიერთობის დემონსტრირებას. თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა "ბლექსიფორის" დასრულების შემდეგ აიღო ვალდებულება, მთლიანად გაურემონტოს და განუახლოს აღჭურვილობა ჩვენს საპატრულო ხომალდ "ქუთაისს"**, - აღნიშნა ლევან ბაქრაძემ.

# პირველი კორპორატიული ობლიგაციები

*ძალიან მალე უძრავი ქონების ბაზარზე პირველად კორპორატიული ობლიგაციები გამოვა. ეს პროექტი კომპანია "არსისა" და "საქართველოს ბანკის" ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება.*



გუშინ კომპანია "არსის" საგამოფენო დარბაზში საზეიმოდ მოეწერა ხელი პირველი კორპორატიული ობლიგაციების ემისიას. ობლიგაციების ემისია წარმოადგენს არქიტექტურის და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსის" და სს "საქართველოს ბანკის" ერთობლივ პროექტს. ეს არის უძრავი ქონების ბაზარზე კორპორატიული ობლიგაციების გამოცემის პირველი პრეცედენტი. როგორც ამ პროექტის ავტორები აღნიშნავენ, ეს მოვლენა არის მნიშვნელოვანი ნოვაცია უძრავი ქონების სფეროში, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას, რომელიც დღეს მხოლოდ პირველ ჩანასახოვან საფეხურებს გადის.

ემისიის საერთო მოცულობა, სავარაუდო 800 ათასი აშშ დოლარი იქნება. ფასიანი ქაღალდის ვადიანობა 2 წლამდე იქნება განსაზღვრული, ყოველკვარტლური კუპონის გადახდებით.

გამოცემული ობლიგაციებით დაფინანსდება კომპანია "არსის" "ახალი პროექტი" - პრესტიჟული საცხოვრებელი სახლი თ.აბულაძის ქუჩაზე. ემისიის პროექტი პილოტურია, კომპანიის ხელმძღვანელობა ახალი ემისიების განხორციელებას სამომავლოდაც გეგმავს.

კომპანია "არსი" და ასს "საქართველოს ბანკი" დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ფულის ცივილურად დაბანდების მომგებიან და გარანტირებულ საშუალებას, რომლის წლიური შემოსავლიანობა საბანკო დეპოზიტთან შედარებით უფრო მაღალი იქნება. ობლიგაციების გამოშვების სქემა საშუალებას იძლევა ეს ფასიანი ქაღალდი მთლიანად იქნეს გარანტირებული საქართველოს ბანკის მიერ. "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითი", წამყვანი საინვესტიციო ბანკი საქართველოში, იქნება ობლიგაციების განთავსების აგენტი.

**"კომპანია არსმა" "საქართველოს ბანკთან" ერთად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება შეძლო. უძრავი ქონების ბაზარზე გამოსული პირველი კორპორატიული ობლიგაციები, მნიშვნელოვანი ნოვაციაა როგორც უძრავი ქონების, ასევე ზოგადად საქართველოს ბიზნესისა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. კომპანია "არსი" მომავალშიც აპირებს როგორც ინვესტორებისთვის ასევე თავის მომხმარებლისთვის საინტერესო პროექტების შეთავაზებას",** - განაცხადა გუშინდელ პრეზენტაციაზე კომპანია "არსის" აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე აბულაძემ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს მთავრობა პარლამენტის შუალედური არჩევნების დაფინანსებას პრობლემებს არ შეუქმნის. ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა. როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, ცენტრალური საარჩევნო კომისია შუალედური არჩევნებისთვის მთავრობას შესაბამის ანგარიშს წარუდგენს. ამის შემდეგ კი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან არჩევნებისთვის საჭირო თანხები გამოიყოფა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც გააკეთა. როგორც სპიკერმა აღნიშნა, იგი დაინტერესებულია, რომ პარლამენტი დეპუტატებით შეივსოს. ამიტომ, ბურჯანაძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს შექმნილ ვითარებაში გარკვევა და, საჭიროების შემთხვევაში, დადგენილების პროექტის მომზადება დაავალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ნდობის ჯგუფის დახურული სხდომა, რომელსაც თავდაცვისა და შს მინისტრებიც ესწრებოდნენ, ძალოვანი უწყებების ფინანსების ხარჯვის საკითხს მიეძღვნა.

სხდომაზე განიხილეს გასულ ზაფხულს ცხინვალის კონფლიქტის დროს გაწეული ხარჯები, ასევე ინფორმაცია იმ ფონდების შესახებ, რომელიც სამართალდამცავების მხარდასაჭერად არის შექმნილი.

გივი თარგამაძის თქმით, ძალოვანების დახმარების ფონდი ივნისის თვეში დაიხურება და აგვისტოში მისი სრული ხარჯთაღრიცხვა გამოქვეყნდება. რაც შეეხება თავდაცვის ფონდს, ამ ფონდიდან 20 მილიონი ლარია დახარჯული, რაც, ძირითადად, ჯარის აუცილებელი საშუალებების - ფორმების, კარვების და ა.შ. შეძენას მოხმარდა. მისი თქმით, ამ ფონდიდან იარაღის შეძენა არ მომხდარა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ბრიუსელში სამუშაო ვიზიტით დღეს გამთენიისას გაემგზავრა. დაგეგმილია მისი შეხვედრები ევროკავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელთან ჰავიერ სოლანასთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყება მომავალი კვირისთვის გადაიდო.

როგორც "ინტერ-პრესს" აჭარის ენერგოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა რუსლან ხოროშვილმა განუცხადა, თურქეთის კანონმდებლობაში ელექტროენერგიის ბარტერით გაცვლის თვალსაზრისით არსებული ბარიერი მოხსნილია. აღნიშნულ გადაწყვეტილებას თურქეთის მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრმა მოაწერა ხელი, თუმცა აჭარის მთავრობის ხელმძღვანელსა და თურქეთის პრეზიდენტს შორის იმპორტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება მომავალ კვირას გაფორმდება.

როგორც ხოროშვილმა აღნიშნა, აჭარა თურქეთიდან თვეში 45 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მიიღებს. ელექტროენერგიის იმპორტი აპრილში, მაისსა და ივნისში განხორციელდება. ზაფხულში საქართველოს ენერგოსისტემიდან თურქეთი 20 პროცენტით მეტ ელექტროენერგიას დაიბრუნებს. 2005 წლის ზაფხულის განმავლობაში, ბარტერის სახით, თურქეთის ენერგოსისტემას 100 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიეწოდება.

აჭარის ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით, თურქეთთან გაფორმებული ხელშეკრულება 2005-2006 წლების ზამთრის სეზონზეც იმოქმედებს.

თურქეთის კანონმდებლობის მიხედვით, ელექტროენერგიის ბარტერული გაცვლის ოპერაცია აკრძალულია, თუმცა, თურქეთის კანონმდებლობაში ცვლილება გამონაკლისის სახით შევიდა და თურქეთის მთავრობამ საქართველოსთან ბარტერის ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობა დაუშვა. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ნაპრალი ღირსებასა და მოვალეობას შორის

პირველი გვერდიდან

**ფინანსურ პოლიციას, მისი მუშაობით კმაყოფილი ვარ,"** - აღნიშნა მინისტრმა. მისივე თქმით, ამ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, კეზერაშვილმა თავად მოასმენინა საკუთარი სატელეფონო საუბრები(?), რომელიც **"მასმედიის მიერ გავრცელებულ ჩანაწერს არ ემთხვევა."** თავის გამოსვლაში ჩეჩელაშვილი იმასაც აცხადებს, რომ **"შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის, მათ შორის, არც ფინანსური პოლიცია."**

ფინანსთა მინისტრის ასეთმა მიდგომამ საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა დიდი მოწონება დაიმსახურა. "შეცდომის უფლების" თემა ყველაზე ადრე დავით კირკიტაძემ აიტაცა.

**"ჩვენი ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე, შეცდომები მოგვდის ხოლმე, მაგრამ ისინი სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე არ აისახება. კეზერაშვილმა თუ მართლა მოგაყენათ შეურაცხყოფა, ეს მისი ახალგაზრდული ასაკით შეიძლება აიხნას,"** - ფინანსური პოლიციის უფროსს ნამუსი მოსწმინდა პარლამენტარმა.

კიდევ უფრო შორს წავიდა ბესო ჯუღელი, რომელმაც დავით კეზერაშვლს ვაჟკაცობა შეუქო და იკითხა: **"რა უფრო დიდი უზნეობაა - ტელეფონების მოსმენა თუ ის, რომ კაცმა ტელეფონში რაღაც ჩაილაპარაკა?"**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა ამ განცხადებებმა დავით ბერძენიშვილი გააოგნა. **"რა გამოდის? პრივატულ საუბრებში დედა რომ გაგინონ, მისასალმებელია? კი ბატონო, ვისაც დედის გინებით გელაპარაკებიან და ამას მიჩვეულები ხართ, შეირგეთ,"** - მიმართა ოპონენტებს "რესპუბლიკელების" ერთ-ერთმა ლიდერმა და მათ ერთი "პოლიტიკური რჩევაც" მისცა: **"გადით გარეთ და ნახეთ, რა რეიტინგი გაქვთ! თუ მაგარი ბიჭები ხართ, წადით და მაჟორიტარებად იყარეთ კენჭი, ოღონდ ისე, რომ პარტიისა და პრეზიდენტის ავტორიტეტს არ ამოეფაროთ."**



დავით ბერძენიშვილისთვის გაუგებარი დარჩა, რატომ აიტანა უფროსმა ხელქვეითისგან შეურაცხყოფა.

დავით ბერძენიშვილის ამ "მოწოდებამ" საპარლამენტო უმრავლესობის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები ძალზე აღაშფოთა. განსაკუთრებით აქტიურობდა დეპუტატი რატი სამყურაშვილი, რომლის სიტყვიერი "კონტაქტი" "რესპუბლიკელებთან" ლამის ფიზიკურში გადაიზარდა, მაგრამ დეპუტატების ჩარევის შემდეგ საქმე მუშტიკრივამდე აღარ მივიდა.

ამ აურზაურთან ერთად, პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული: საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რომელიც დამატებით 452 მილიონი ლარის განკარგვას ითვალისწინებს.

# გივი თარგამაძის ბრალდება

"ახალ მემარჯვენეებს" პოლიტიკურ სპეკულაციაში უკვე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ადანაშაულებს. გუშინ, სრულიად მოულოდნელად, მან პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ გამყრელიძეს თავდაცვის სფეროში არსებული რეალური ვითარება არ აინტერესებს და მისი განცხადებები თავდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის თაობაზე, უბრალოდ, პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

გივი თარგამაძემ გუშინ ისიც განაცხადა, რომ ოპოზიციის ლიდერი კომიტეტის სხდომებს თითქმის არ დასწრებია. მისივე თქმით, გამყრელიძე არც იმ სხდომების მიმდინარეობით დაინტერესებულა, რომელზეც თავდაცვის სფეროში გაზრდილ ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

რაც შეეხება დავით გამყრელიძის ბრალდებებს, თავდაცვისთვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვის თაობაზე, გივი თარგამაძის თქმით, თავდაცვის ფონდის თანხებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არანაირი შეიარაღება არ შეუძენია, როგორც ამას გამყრელიძე ამტკიცებს. ამავე დროს, გივი თარგამაძემ აღნიშნა, რომ თავდაცვის სფერო ღიაა გარკვეული ინფორმაციის გასაცემად, ამიტომ, გამყრელიძეს მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვება უპრობლემოდ შეუძლია.

*24 საათი*

# „ლეიბორისტები" სიურპრიზს ამზადებენ

*თბილისის საკრებულოს გუშინდელი სხდომა 11 აპრილისთვის გადაიდო, რადგან საკრებულოს წევრებმა საკითხების მომზადება ვერ მოასწრეს. მართალია, სხდომების მოუმზადებლად ჩატარება საკრებულოს წევრებს დიდად არ უჭირთ (როგორც წესი, ბევრი დეპუტატი საკითხებს იქვე ეცნობა ხოლმე), მაგრამ მომავალი სხდომისთვის მაინც განსაკუთრებულად მომზადება გადაწყვიტეს. საკითხებს შორის, რომელიც გუშინ უნდა გაეტანათ, ერთი-ორი მართლაც ისეთი იყო, საკრებულოს უმრავლესობას ოპოზიციის მხრიდან შეტევის მოსაგერიებლად ფსიქოლოგიური შემზადება რომ სჭირდება.*

ნანა ქადაგიშვილი

ერთ-ერთი საკითხი, რასაც ოპოზიციის მხრიდან აჟიოტაჟი მოჰყვება, განვითარებისა და ინტეგრაციის პროგრამისთვის დაფინანსების დამატება იქნება. ქალაქის მთვარობა მოითხოვს, რომ აღნიშნული პროგრამისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული 200 ათასი ლარი 258 ათასამდე გაიზარდოს. როგორც უმრავლესობის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, ეს პროგრამა თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას ითვალისწინებს. მას, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაცია "ინვენტი" დააფინანსებს. ოღონდ, მთავრობის პოლიტიკური ნების დასტურად, ქალაქის ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს თანხის ნაწილი. თუმცა, "ლეიბორისტები" სულ სხვაგვარად ფიქრობენ. **"ეს აბსურდული პროგრამა ბიუჯეტიდან ფულის გადაქაჩვის საშუალებაა. ამ პროგრამის ავტორებმა თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადება როგორ უნდა შეძლონ, როცა თვითონ აქვთ კვალიფიკაცია ასამაღლებელი,"** – აცხადებენ "ლეიბორისტები". მათ რამდენიმე კვირის წინათ სპეციალური კომისიის შექმნაც მოითხოვეს განვითარებისა და ინტეგრაციის პროგრამისთვის განკუთვნილი თანხების ხარჯვის შესასწავლად და საქმის პროკურატურისთვის გადაცემითაც დაიმუქრნენ.

იგივე რეაქცია მოჰყვება საკითხს, სადაც მუნიციპალური რეფორმების ხარჯებზეა საუბარი. მართალია, ამჯერად ქალაქის მთავრობა, თანხების გაზრდის მაგიერ, ამ პროგრამისთვის გათვალისწინებული 350 ათასი ლარის 258 ათასამდე შემცირებას მოითხოვს, მაგრამ "ლეიბორისტებს" საერთოდ ამ პროგრამის საჭიროება აეჭვებთ. **"შევისწავლოთ, რას წარმოადგენს ეს პროგრამა და რაში უნდა დაიხარჯოს ამდენი ფული,"** – მოითხოვენ ოპოზიციის წარმომადგენლები.

აპრილის ბოლოსთვის კი "ლეიბორისტები" უმრავლესობას უსიამოვნო სიურპრიზს უმზადებენ. **"კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო მოხელეებმა ყოველი წლის აპრილის ბოლომდე უნდა შეავსონ ქონებრივი დეკლარაცია. საკრებულოს წევრებიდან ამ მოხელეთა შორის მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარე შედის, მაგრამ ჩვენ დეკლარაციის შევსებას უმრავლესობის ყველა წევრს ვთხოვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეტალურად გამოვაქვეყნებთ, რომელმა მათგანმა აიშენა სასახლე ქალაქის პრესტიჟულ უბანში და რომელმა იყიდა უცხოური მანქანა,"** – იმუქრებიან "ლეიბორისტები".
















უცხოეთი

# ინტერესთა კონფლიქტი

პირველი გვერდიდან

მემარჯვენე ძალთა კავშირიც კი, რომელიც რუსეთში არაპოპულარული საბაზრო ეკონომიკური რეფორმის აკვანს წარმოადგენს, არჩევნებში მარცხის განცდის შემდეგ თავის პროგრამაში უმთავრეს ადგილს საზოგადოების წინაშე ბიზნესის "სოციალურ პასუხისმგებლობას" უთმობს. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ლიბერალური პარტიები მემარჯვენე ძალთა კავშირს ოპოზიციად საერთოდ არ განიხილავენ. ლეონიდ ნევზლინი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება უცხოეთიდან ერთ-ერთ პოტენციურ სპონსორად მიიჩნევს, აცხადებს, რომ ქვეყანაში ოპოზიცია საერთოდ არ არსებობს (და თუ არსებობს - უფრო მემარცხენე მიმართულების მქონე ძალებია), რადგან მემარჯვენე ლიბერალური, დემოკრატიული ოპოზიცია არც არსებობს და არც არასოდეს ყოფილა. "ფულის ტომრები", უბრალოდ, უარს ამბობენ "ძველ", ლიბერალურ ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე, რომელმაც ერთიანი დემოკრატიული მოძრაობის შექმნისათვის საკუთარი ლიდერების ამბიციების მოთოკვა ვერ შეძლო. ასეთ მოძრაობას კი შეეძლო, პარლამენტში გავლენიანი ნიშა დაეკავებინა.

პოლიტოლოგთა შეფასებით, დღეს მემარჯვენე პროექტები მარცხისთვისაა განწირული, რადგან საზოგადოების სოციალური მოთხოვნა სოციალური თანასწორობის პრინციპების დაცვაზეა ორიენტირებული და არა თავისუფლების სურვილზე. ექსპერტები მემარჯვენე ძალთა კავშირისა და "იაბლოკოს" დღევანდელ სახელმწიფო სათათბიროში არყოფნას, სწორედ, ლიბერალიზმის მომხრე ელექტორატის სიზარმაცეს უკავშირებენ.

ექსპერტთა ვარაუდით, მომავალ არჩევნებში ყველაზე "მემარჯვენე" "ედინაია როსია" იქნება. სახელმწიფო სათათბიროში სწორედ ამ პარტიის მონდომებით ხორციელდება არაპოპულარული საბაზრო რეფორმები და ის რუსეთში, უბრალოდ, მსხვილი ბიზნესის ინტერესების დამცველს წარმოადგენს (ნომენკლატურული ინტერესებიდან გამომდინარე); თანაც, მემარჯვენე ძალთა გაერთიანებისგან განსხვავებით, ისინი მიიჩნევენ, რომ რუსეთში თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის პრობლემა არ არსებობს.

ოლეგ მოროზოვი, რომელიც "ედიანაია როსიას" ერთ-ერთი იდეოლოგია, მიიჩნევს, რომ "ძველ" ლიბერალებს უკვე ამოეწურათ რესურსები მომავალ არჩევნებში წარმატებისთვის. სწორედ ამიტომ, მოროზოვი "უმრავლესობის პარტიის" ახალ იდეოლოგიაზე ფიქრობს, რომელიც "ოლიგარქებისა და პენსიონერების ინტერესებს გააერთიანებს".

*24 საათი*

# ასკარ აკაევს პრივილეგიები ჩამოართვეს

ყირგიზეთის დევნილი პრეზიდენტის ასკარ აკაევის მიერ გადადგომის შესახებ ჯერ კიდევ ორშაბათს დაწერილი განცხადება დღემდე არ არის დაკმაყოფილებული. თუმცა, როგორც გუშინ გაირკვა, ყირგიზეთის პარლამენტს ამ საკითხთან დაკავშირებით ბარიერები მოეხსნა და უახლოეს მომავალში მიიღებს ქვეყნის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი პრეზიდენტის "თხოვნას".



აკაევს საკუთარი კანონებით ექს-პრეზიდენტობა არ დასცალდა.

საქმე ისაა, რომ თავად აკაევის მმართველობის პერიოდში მიღებული კანონმდებლობით, ქვეყნის პირველ პრეზიდენტს მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობის უფლება უნდა ჰქონოდა. სწორედ ეს იყო, ალბათ, ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას უშლიდა ხელს. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ზოგიერთმა დეპუტატმა, ერთი შეხედვით, სრულიად უაზრო პროცედურის - იმპიჩმენტის დაწყების წინადადებაც კი წამოაყენა. თუმცა, გამოსავალი უკვე ნაპოვნია - ყირგიზეთის პარლამენტმა გუშინ ცვლილელები შეიტანა კანონში, რითაც ასკარ აკაევს "პირველი პრეზიდენტის" სტატუსი და კუთვნილი ყველა შეღავათი და პრივილეგია ჩამოართვა. დეპუტატებმა კანონში შესაბამისი ცვლილებები ხმების უმრავლესობით დაამტკიცეს;

გაუქმებულია დებულება პირველი პრეზიდენტის ოჯახის წევრთა ხელშეუხებლობის გარანტიების შესახებ; შეცვლილია კანონის ის მუხლი, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის თანაშემწეთა აპარატის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას ითვალისწინებს.

აკაევს, ასევე, ჩამორთმეული აქვს ყირგიზეთის პარლამენტის და მთავრობის სხდომებზე დასწრების და სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უფასოდ სარგებლობის უფლება.

კანონიდან ამოღებულია ის პარაგრაფიც, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის წევრთა უფასო სამედიცინო მომსახურებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ექს-პრეზიდენტს დაცვა მხოლოდ ყირგიზეთის ტერიტორიაზე დაენიშნება.

გუშინ მიღებული შესწორებები ძალაში მხოლოდ მას შემდეგ შევა, რაც მას სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი კურმანბეკ ბაკიევი მოაწერს ხელს. სავარაუდოდ, ეს ორშაბათს მოხდება. დეპუტატები იმავე დღეს განიხილავენ აკაევისთვის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს.

*24 საათი*

# ლუკაშენკოსთან ბრძოლისთვის ოპოზიცია 5 მილიონ დოლარს მიიღებს

აშშ-ს სენატის ასიგნირების კომიტეტმა ბელორუსის ოპოზიციის მხარდასაჭერად 5 მილიონი დოლარის გამოყოფას ერთხმად დაუჭირა მხარი. ამის შესახებ ამერიკის სენატის სამდივნოში განაცხადეს, სადაც ხუთშაბათს სენატის კომიტეტის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი შევიდა, მიმდინარე ფინანსური წლისთვის (რომელიც 30 სექტემბერს იწურება) აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის დამატებითი ხარჯების შესახებ. კანონპროექტს სრული შემადგენლობით სენატის სხდომაზე ორშაბათს დაამტკიცებენ.

"მეზობელ უკრაინაში თავისუფლების წარმატების გათვალისწინებით, კომიტეტი ბელორუსში დემოკრატიის განვითარებისათვის უნიკალური შესაძლებლობის გამოჩენას აღიარებს და რეკომენდაციას იძლევა ამ ძალისხმევისათვის 5 მილიონი დოლარის გამოსაყოფად", - ხაზგასმით არის აღნიშნული ასიგნირების კომიტეტის თანმხლებ ცნობაში. დოკუმენტში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ კომიტეტის აზრით, ბელარუსში ამ სახსრებიდან "არანაკლებ 2 მილიონი დოლარი დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების გასაძლიერებელ საქმიანობას უნდა მოხმარდეს". ცნობაში აღნიშნულია ისიც, რომ ბელარუსში დემოკრატიული პარტიებისა და პროცესების მხარდასაჭერად გათვალისწინებული 5 მილიონი დოლარის განაწილებაზე პასუხისმგებელი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხების სამმართველო იქნება. სენატის მიერ განხილვადი კანონპროექტი ჯორჯ ბუშის სასწრაფო მოთხოვნის სენატური ვერსიაა, მიმდინარე ფინანსური წლისთვის აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის დამატებითი ხარჯების (81,9 მილიარდი დოლარი) შესახებ, რომელიც თეთრი სახლის თავკაცმა ამერიკის კონგრესში 14 თებერვალს შეიტანა. სენატისგან დამტკიცების შემდეგ კანონპროექტი კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ მანამდე მიღებულ ვერსიასთან უნდა შეათანხმონ; საბოლოო კენჭისყრისა და დამტკიცების შემდეგ კანონპროექტი ხელმოსაწერად ჯორჯ ბუშს გადაეგზავნება.

*24 საათი*

# მეხიკოს მერს იმუნიტეტი მოუხსნეს

მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს მერს ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორს, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია, მექსიკის პარლამენტმა იმუნიტეტი მოუხსნა. ამან, შესაძლოა, მისი თანამდებობიდან მოხსნა და დაპატიმრება გამოიწვიოს. ცოტა ხნის წინ ლოპეს ობრადორმა მომავალ წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენების სურვილი გამოთქვა. მემარცხენე შეხედულებების პოლიტიკოსმა, დემოკრატიული რევოლუციური პარტიის წევრმა, ამის შესახებ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერების წინაშე გამოსვლისას განაცხადა. ლოპეს ობრადორის განცხადებით, რომელიც მექსიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია, ის მზად არის არჩევნებში მონაწილეობისათვის, ციხეში ყოფნის შემთხვევაშიც კი. ობრადორს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან სასამართლოს გადაწყვეტილება დაარღვია და მაინც გასცა ექსპროპრირებულ ტერიტორიაზე ქალაქის საავადმყოფოს მისადგომი გზის მშენებლობის ნებართვა. მეხიკოს მერი პარლამენტის გადაწყვეტილებას პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევს. მისი აზრით, მთავრობა საპრეზიდენტო მარათონიდან მის ჩამოცილებას ცდილობს. პარლამენტმა მერის იმუნიტეტის მოხსნას 360 ხმით დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი 127 დეპუტატი იყო. მხარდამჭერების წინაშე გამოსვლისას ობრადორმა განაცხადა, რომ თუ მას დააპატიმრებენ, არ ეცდება ციხიდან თავდებით გამოსვლას და ციხეში სრული ნებაყოფლობით წავა. ობრადორის გარშემო დაწყებული სკანდალის შემდეგ მისი პოპულარობა კიდევ 10 პროცენტით გაიზარდა.

*ბი ბი სი*

# ნავთობიმპორტიორები დიზელის აქციზის დაწევას ითხოვენ

ბექა ევგენიძე

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი დიზელის საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმების ინიციატივით გამოდის.

როგორც ცნობილია, უკვე რამდენიმე თვეა, მსოფლიოში ნავთობპროდუქტების ფასები საკმაოდ დინამიურად იზრდება, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის სოფლის მეურნეობას (დიზელის საწვავის სიძვირის გამო, სავარგულების უმეტესობა დასამუშავებელი დარჩა).

**"აქციზის გადასახადის გაუქმებით, დიზელის საწვავის ფასი, მინიმუმ, 20 თეთრით შემცირდება. შეიძლება ითქვას, რომ კონტრაბანდა მინიმუმამდე დავა, ვინაიდან მთლიანი ბიზნესის ლეგალიზება მოხდება,"** - აცხადებენ ნავთობის იმპორტიორები.

შედარებისათვის კი აქვეყნებენ დიზელის საწვავის ფასს აქციზის გადასახადის ჩათვლით და მის გარეშე (6 აპრილის მონაცემებით): აზერბაიჯანიდან იმპორტირებული L-62 დიზელის საწვავი, დღეს მოქმედი 150-ლარიანი აქციზით, ჯდება 1 ლიტრი - 1.12 ლარი, ხოლო უაქციზოდ 1 ლიტრი - 0.98 ლარი, ანუ აქციზის გაუქმებით 1 ლიტრი დიზელის თვითღირებულება 8 ცენტით (0.14 ლარით) შემცირდება, საცალო ქსელში კი - მინიმუმ, 20 თეთრით.


ინტერ-პრესის ფოტო

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, რომ მათი გათვლებით, **"აქციზის გადასახადის გაუქმებით, დიზელის საწვავის ლეგალურმა იმპორტმა ყოველთვიურად უნდა შეადგინოს, მინიმუმ, 20 ათასი ტონა. ამგვარად მივიღებთ, რომ ბიუჯეტში ყოველთვიურად, მხოლოდ საბაჟო მოსაკრებლის სახით, შევა 2 მილიონ ორასი ათასი ლარი. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ აქციზის გადასახადის გაუქმებით ბიუჯეტი არ ზარალდება, მეტიც - დიზელის ფასი 20 თეთრით დაიკლებს. შედეგად, მოგებული დარჩება მომხმარებელი, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები. ამით თავიდან ავიცილებთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და მგზავრობის საფასურის ზრდის ნეგატიურ პროცესს."**

*საბიუჯეტო მონიტორინგი*

EPRC

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

# ბიუჯეტის ხარჯები ისევ ძალოვანი უწყებების აქტიურობის იმედით იზრდება

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა. სახელმწიფო ბიუჯეტი იზრდება 492,09 მილიონი ლარით, მთლიანად შემოსავლები და გრანტები იზრდება 249,6 მილიონი ლარით, ხოლო დეფიციტი - 2,5 მილიონი ლარით. ძირითადი ზრდა მოდის "შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან" მუხლზე, რაშიც შედის პრივატიზაციიდან შემოსავლები, რასაც თავად ხელისუფლებაც აღიარებს.

აქ აუცილებლად გათვალისწინებულია ერთი ფაქტორი: პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლების ხარჯზე საქართველოს ხელისუფლება აპირებს არა ცალკე აღებული პროგრამების დაფინანსებას (რაც ამ შემოსავლების მიუღებლობის შემთხვევაში მათ მექანიკურ დაუფინანსებლობას გამოიწვევდა), არამედ საპრივატიზაციო შემოსავლები ზოგადად გაიწერა სამინისტროებზე და მათ საბიუჯეტო ხარჯებზე.

მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს ხარჯები გაიზარდა 50 მილიონი ლარით, ეკონომიკის სამინისტროსი - 42,9 მილიონით, იუსტიციის სამინისტროსი - 6 მილიონით, თავდაცვის - 195,7 მილიონით, შსს-ს - 37,5 მილიონი ლარით, ჯანდაცვა - 91,5 მილიონი ლარით, ენერგეტიკა - 144 მილიონი ლარით, სახელმწიფო დაცვის სამსახური - 15 მილიონით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ჩადგა ფორსმაჟორულ სიტუაციაში პრივატიზაციასთან დაკავშირებით, რადგან მომავალში მისაღები საპრივატიზაციო თანხები უკვე გაწერილია ხარჯებში. შედეგად - მთავრობა იძულებული იქნება, სახელმწიფო ობიექტები ნებისმიერ შემთხვევაში გაყიდოს. არადა, უკვე განხორციელებულმა პრივატიზაციამ აჩვენა, რომ ეს პროცესი საკმაოდ რთულია და მოულოდნელობებისგან დაზღვეული არ არის.

ასევე, რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებს - აქ ზრდა გვაქვს 36,3 მილიონი ლარით. აქ აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ზრდის უდიდესი ნაწილი მოდის საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა სოციალურ ანარიცხებზე (12 მილიონ ლარამდე), რაც, პრაქტიკულად, თანხის "დატრიალების" ტოლფასია.

რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, აქ ზრდა გვაქვს 36,4 მილიონი ლარი, საიდანაც 32,6 მილიონი ლარი არის "სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები". ამ მუხლით, ძირითადად, ძალოვანი უწყებების მიერ "მობილიზებული" თანხები ივსებოდა. ანუ ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული ცვლილებები არა იმდენად საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების, არამედ – ისევ ძალოვანი უწყებების აქტიურობის იმედით იზრდება.

# ბიძინა ივანიშვილი: "საქართველოში, ბანკის გარდა, ყველაფერს ვყიდი"

ცნობილი ქართველი ბიზნესმენი, 48 წლის ბიძინა ივანიშვილი გაზეთ "ვედომოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ადასტურებს, რომ საქართველოში არსებულ თითქმის ყველა ბიზნეს-საწარმოს, ბანკ "ქართუს" გარდა, ყიდის და კონკრეტული მყიდველიც უკვე არსებობს.

როგორც ივანიშვილი აცხადებს, მას ეკუთვნის ერთ-ერთი მსხვილი საწარმო "თოლია", უმსხვილესი სამშენებლო კომპანია, სასოფლო-სამეურნეო კომპანია, რომლის **მფლობელობაშიც არის 600 ჰექტარი მიწა, ბანკი "ქართუ" და სხვა.**

**"ბანკის გრდა, ყველაფერს ვყიდი. მყიდველიც გამოჩნდა. ერთადერთი, რისი ბოლომდე მიყვანაც მსურს, "ბაკურიანი2"-ის კომპლექსის მშენებლობაა,"** - აცხადებს ბიზნესმენი.

ასეთი გადაწყვეტილების მიზეზს იგი არ აკონკრეტებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მალე 50 წელი შეუსრულდება და ყველაფერს ვერ გაწვდება.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებასთან დამოკიდებულებას, იგი აცხადებს, რომ მათი არც მომხრეა და არც მოწინააღმდეგე.

მისივე თქმით, ძირითადად, ნათესავებისა და მეგობრების გარემოცვაში ცხოვრობს და სურს, სიცოცხლის ბოლომდე მშობლიურ სოფელში, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში იცხოვროს.

ცნობისთვის: გაზეთ "ვედომოსტის" მონაცემებით, ივანიშვილის საკუთრებაშია ბანკების - "როსიისკი კრედიტისა" და "იმპექსბანკის" 67-67 პროცენტი, კომპანია "უნიკორის" აქციების 100 პროცენტი და მის შემადგენლობაში შემავალი 10-მდე საწარმო და სასტუმროთა ქსელი, აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიის აქციათა 28,5 პროცენტი და სხვა. ჟურნალ "ფორბსის" მონაცემებით კი, ბიძინა ივანიშვილის ქონება 2,6 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს "ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის" (ქ. ქუთაისი) სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტების მიზნით, შემდეგ ვაკანსიებზე:**

- მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია - 3 სპეციალისატი
- კომპიუტერული ტომოგრაფია - 2 სპეციალისტი
- ინტერვეციული რადიოლოგი - 1 სპეციალისტი
- ენდოსკოპისტი - 1 სპეციალისტი
- პერფუზიოლოგი - 1 სპეციალისტი
- კარდიოქირურგი - 1 სპეციალისტი
- სამედიცინო აპარატურის ინჟინერი (ფიზიკოსი) - 1 სპეციალისტი
- მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ინჟინერი - 1 სპეციალისტი
- ნეიროქირურგი - 1 სპეციალისტი
- ანგიოკორონაროგრაფიის სპეციალისტი - 1
- ზოგადი ქირურგი - 1 სპეციალისტი
- ორთოპედი - ტრავმატოლოგი - 1 სპეციალისტი
- საოპერაციო ექთანი - 2 (ნეირო და კარდიოქირურგია)

კონკურსში გამარჯვებული სპეციალისტები, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სტაჟირებას გაივლიან 2-3 თვის განმავლობაში ავსტრიაში, გრაცის საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე, ა.წ. მაისის თვიდან. კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრთან ხელშეკრულება გაფორმდება 3 წლის ვადით, უცხოეთის წამყვანი კლინიკებიდან მოწვეული სპეციალისტების მეთვალყურეობით.

საბუთების ჩამონათვალი:
- ავტობიოგრაფია (CV)
- დიპლომის ასლი
- ცნობის ასლი ინტერნატურის (ორდინატურის ან კერძო რეზიდენტურის) გავლის შესახებ (სამედიცინო პერსონალისათვის)
- გავლილი სტაჟირების (სამეცნიერო წოდების) ცნობის ასლი
- საზღვარგარეთის პასპორტის (არანაკლებ 1 წლის მოქმედების ვადით) ასლი
- 2 ფოტოსურათი
- შრომის წიგნაკის ასლი

კონკურსის აუცილებელი პირობები:
- არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი სპეციალობის მიხედვით
- უცხო ენის ცოდნა (ინგლისური ან გერმანული)

საბუთების ჩაბარება და დამატებითი ინფორმაციის მიღება იწარმოებს ა.წ. 12 აპრილის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ჯავახიშვილის ქუჩა N52, მე-3 სართული, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.

ტელ. 91 03 90
მობ. (877) 50 18 77

კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო:
თბილისი, ჯავახიშვილის ქუჩა N52, მე-3 სართული, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.
13 აპრილი 9⁰⁰ - 17⁰⁰სთ.

# აჭარა დენის გარეშე დარჩება

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი 8 აპრილის 15 საათზე, აჭარის გამანაწილებელ ენერგოკომპანიას ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს. აჭარის ენერგოკომპანიისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა განპირობებულია თებერვლის თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არასრულად გადახდით და შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიმართ არსებული დავალიანებით. აჭარის ენერგოკომპანიის გამორთვის მოთხოვნა "სახელმწიფო ელექტროსისტემამაც "წერილობით დააფიქსირა.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა აჭარის გამანაწილებელ ენერგოკომპანიას, დავალიანებების დაფარვის მოთხოვნით, განკარგულების გაცემამდე არაერთხელ მიმართა, თუმცა მათგან კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო. სესბ-ს, "სახელმწიფო ელექტროსისტემისა" და აჭარის ენერგოკომპანიის წარმომადგენლებს შორის 6 აპრილს გამართული შეხვედრაც კონკრეტული შეთანხმების გარეშე დასრულდა, რის გამოც ძალაში დარჩა გამორთვის განკარგულება.

სამწუხაროდ, სესბ-ი იძულებულია გამოიყენოს კანონით მინიჭებული ესოდენ უკიდურესი ზომა და აღნიშნულ არგადამხდელ ენერგოკომპანიას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტოს. სესბ-ი და "სახელმწიფო ელექტროსისტემა" 8 აპრილის 15 საათამდე აჭარის ენერგოკომპანიის მხრიდან ელოდებიან კონკრეტულ ქმედებებს არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით.

ინფორმაციისთვის, კომპანიის არსებული დავალიანებაა: თებერვლის თვის მოხმარება - 1 მილიონ 100 ათასი ლარი, დარჩენილი დავალიანება – 400 ათასი ლარი, მთლიანად, არსებული დავალიანება სესბ-ს მიმართ – 49 მილიონი ლარი; ელექტროსისტემის მიმართ დავალიანება – 2 მილიონ 600 ათასი ლარი

*24 საათი*

# ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ძმა ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის გამოძალვის ფაქტზე ამჯერად კონტროლის პალატისა და "საქართველოს რკინიგზის" დეპარტამენტის მაღალჩინოსნები დააკავეს.

კონტროლის პალატის სარევიზიო ჯგუფის უფროსის გელა ბუბაშვილისა და "საქართველოს რკინიგზის" კონტროლის სამსახურის თანამშრომლის ავთანდილ გამყრელიძის დაკავების ოპერაცია რკინიგზის დეპარტამენტის ერთ-ერთ კაბინეტში ჩატარდა. სწორედ ამ კაბინეტში გადასცა ქრთამი ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელმა გელა ბუბაშვილს. ბუბაშვილმა კი აღებული თანხა - ავთანდილ გამყრელიძეს. დაკავებულებს ადგილზევე ჩაუტარდათ ულტრასხივური ექსპერტიზა, რომელმაც მათ ხელებზე წინასწარ "დამუშავებული" ფულის კვალი დაადასტურა. სხვათა შორის, დაკავებული ავთანდილ გამყრელიძე ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ამირან გამყრელიძის ძმა გახლავთ.

როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე სოსო თოფურიძე აცხადებს, ქრთამის გადამცემი სახელმწიფო მოხელის ვინაობა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ გახმაურდება.

**"გელა ბუბაშვილისა და ავთანდილ გამყრელიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ქრთამის გამოძალვის მუხლით დაკვალიფიცირდა და რომელიც რვიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, გენერალურ პროკურატურას გადაეცა. გამოძიება დაადგენს, კიდევ ვისთვის უნდა გაენაწილებინათ დაკავებულებს გამოძალული 5500 დოლარი"** , - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სოსო თოფურიძემ. მისივე განმარტებით, სახელმწიფო მოხელეს, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით მკაცრად გასაიდუმლოებულია, დაკავებულებმა თანხა მოსთხოვეს მის უწყებაში ცოტა ხნის წინ კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგად შედგენილი ოქმის შესაცვლელად. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, სინამდვილეში, კონტროლის პალატის შემოწმებას ამ გასაიდუმლოებულ სახელმწიფო დაწესებულებაში არანაირი დარღვევა არ აღმოუჩენია და ყალბი ოქმის შედგენაც სწორედ ფულის გამოძალვის მიზნით მოხდა.

როგორც გაირკვა, ბუბაშვილი და გამყრელიძე შედგენილი ოქმის გადასაკეთებლად თავდაპირველად 10 ათას დოლარს ითხოვდნენ, თუმცა მოგვიანებით 5500 დოლარსაც დასჯერდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტში დარწმუნებულები არიან, რომ, გელა ბუბაშვილისა და ავთანდილ გამყრელიძის გარდა, საქმეში ფიგურირებენ სხვა მაღალჩინოსნებიც, რომელთა შორისაც მოთხოვნილი თანხა უნდა გადანაწილებულიყო. *24 საათი*

# ფინანსურმა პოლიციამ "ლეიბორისტ" დავით ლომიძის ვაჟი დააკავა

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ, თაღლითობის ბრალდებით, "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთი აქტიური წევრის, დავით ლომიძის ვაჟი, 1977 წელს დაბადებული გიორგი ლომიძე დააკავა.

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოს უფროსის ირაკლი პირველის განცხადებით, მათ გუშინწინ ერთ-ერთმა მოქალაქემ განცხადებით მიმართა, სადაც აღნიშნავდა, რომ გიორგი ლომიძე მას ფინანსური პოლიციის სახელით ათას აშშ დოლარს სძალავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სისხლის სამართლის საქმის აღძვრით ემუქრებოდა. მომჩივანი ქალბატონი თბილისში მდებარე სასტუმრო "თორში" ერთ-ერთ თანამდებობაზე მუშაობს.

ირაკლი პირველის თქმით, ადრე თავად გიორგი ლომიძეც ამავე სასტუმროს თანამშრომელი იყო. პირველის განცხადებით, ფინანსურმა პოლიციამ გიორგი ლომიძე მას შემდეგ დააკავა, რაც სასტუმრო "თორის" თანამშრომელმა ქალბატონმა მას თანხის ნაწილი - 200 დოლარი გადასცა.

მომხდართან დაკავშირებით "ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ძაგანიამ საგანგებო პრესკონფერენცია ჩაატარა და განაცხადა, რომ ხელისუფლება, "ლეიბორისტული პარტიის" დისკრედიტაციის მიზნით, პროვოკაციების მოწყობას გეგმავს. ძაგანია აცხადებს, რომ ხელისუფლება "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერების ოჯახის წევრებისთვის ნარკოტიკული ნივთიერების ან იარაღის ჩადებას გეგმავს.

ფინანსურ პოლიციაში იმყოფებოდა დაკავებულის მამა დავით ლომიძე, რომელმაც არ გამორიცხა, რომ, შესაძლოა, მისი შვილის დაკავება პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირდებოდეს. **ინტერ-პრესი**

# ანქვაბზე განხორციელებულ თავდასხმასთან საქართველოს სპეცსამსახურებს კავშირი არ აქვთ

*საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტისა და აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს ექს-შეფი ავთანდილ იოსელიანი კატეგორიულად გამორიცხავს აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმის ორგანიზებაში საქართველოს სპეცსამსახურების მონაწილეობას.*

იოსელიანის განცხადებით, ტერაქტში საქართველოს სპეცსამსახურების დადანაშაულება სისულელეა, რადგან ქართულ მხარეს არავის განადგურების ინტერესი არასდროს ჰქონია. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრის განადგურება იმის გამოც არ შედის, რომ ანქვაბი არძინბას კლანს ებრძვის, რომელმაც **"აფხაზეთი შეჭამა, გაანადგურა და აფხაზ ხალხს თავისი საქმიანობით არანაირი სიკეთე არ მოუტანა".**

ავთანდილ იოსელიანის შეფასებით, ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმები აფხაზურ საზოგადოებაში არსებულ კლანურ დაპირისპირებას უკავშირდება. **"ტერაქტებს ის ძალები აწყობენ, რომლებსაც საპრეზიდენტო არჩევნებისას არ სურდათ ხელისუფლებაში სერგეი ბაგაფშისა და ალექსანდრე ანქვაბის მოსვლა"**, - მიაჩნია ავთანდილ იოსელიანს. მისივე განცხადებით, ანქვაბს ის ძალები ებრძვიან, რომლებმაც 2004 წლის ბოლოს, რუსეთის დახმარებით, უკიდურესად დაძაბეს ვითარება აფხაზეთში და ახლა ცდილობენ, ხელისუფლებას წესრიგის დამყარებაში შეუშალონ ხელი.

ავთანდილ იოსელიანის ეს განცხადება აფხაზ სეპარატისტთა პროკურორის განცხადებას მოჰყვა. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ჯამალ გოგიას განცხადებით, თავდასხმა ანქვაბის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება და ამ ეტაპზე ისინი თავდასხმის სამ ვერსიაზე მუშაობენ. მისივე განმარტებით, პირველი ვერსიით, ეჭვმიტანილებად მიიჩნევიან ბიზნესმენები, რომლებსაც წინა ხელისუფლებასთან კორუფციული გარიგებები აკავშირებდათ და ახალი ხელისუფლების პირობებში სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის გამკაცრებაში თავისი ეკონიმიკური ინტერესებისთვის რეალურ საფრთხეს ხედავენ.

მეორე ვერსიით, ეჭვქვეშ კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები ხვდებიან, რომელთა ინტერესში კრიმინალიტეტთან ხელისუფლების გამკაცრებული ბრძოლა არ შედის და ანქვაბზე პერმანენტული თავდასხმებით მის დაშინებას ან ლიკვიდაციას ცდილობენ.

ჯამალ გოგია მესამე ვერსიად არ გამორიცხავს, აფხაზეთში დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით, ანქვაბზე თავდასხმაში საქართველოს სპეცსამსახურების მონაწილეობასაც.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმა 1 მარტს სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში განხორციელდა. რიგით მეორე თავდასხმას ანქვაბი კვლავ გადაურჩა, მაგრამ მძიმედ დაიჭრა რომან გერია, რომელიც ამჟამადაც საავადმყოფოში იმყოფება. *ინტერ-პრესი*

# თურქეთის მოქალაქეებს ფულს სძალავდნენ

სამართალდამცველებმა დააკავეს თბილისში მოქმედი შეიარაღებული ჯგუფის წევრები: "აფხაზეთის კაზაკთა კავშირის" წარმომადგენელი, თბილისელი, 30 წლის გიორგი ბურჯანაძე, იმავე კავშირის წევრი, პოლიციის კაპიტანი, თეიმურაზ ბაგალიშვილი და თურქეთის მოქალაქე, 33 წლის მუხუდ თავასლი. სამართალდამცველთა წინასწარი მონაცემებით, დაკავებულებმა თბილისელ ოლღა სტეპანოვასთან და ვინმე ზურა თორთლაძესთან ერთად აღმაშენებლის გამზირზე მდებარე თურქულ რესტორან "არმაზიდან", ფულის გამოძალვის მიზნით, გაიტაცეს თურქეთის მოქალაქე ჰაბიბ ქემეკლერი. იგი თეიმურაზ ბაგალიშვილის "ოპელ-ვექტრას" მარკის ავტომანქანით გადაიყვანეს გიორგი ბურჯანაძის ბინაში, სადაც ერთი დღე-ღამის განმავლობაში ჰყავდათ და, იარაღისა და ძალის მუქარით, 6 ათას 500 აშშ დოლარს სთხოვდნენ.

მას შემდეგ, რაც ქემეკლერი აღნიშნული თანხის გადახდაზე დაითანხმდა, ის გაათავისუფლეს. 11 მარტს იგივე პირებმა ქემეკლერი ხელმეორედ გაიტაცეს ბურჯანაძის ავტომანქანით და დაემუქრნენ მოკვლით, რის შემდეგაც ქემეკლერი დაუკავშირდა თავის ახლობელს, თურქეთის მოქალაქეს ალაზ ალიზას და ფულის მოტანა სთხოვა. ალაზ ალიზას მეტროსადგურ "ისანთან" დაჯგუფების წევრები შეხვდნენ და იარაღის მუქარით ისიც მძევლად აიყვანეს. ამის შემდეგ დაჯგუფების წევრებმა აიძულეს ქემეკლერი ტელეფონით დაკავშირებოდა თავის ოჯახის წევრებს თურქეთში, რათა მათ გამოეგზავნათ გამოსასყიდი ფული. ამასთან, მძევლებს დააწერინეს ხელწერილი, რომ 10 დღეში გადაიხდიდნენ თანხას. ამის შემდეგ ქემეკლერი წაიყვანეს დროებით საცხოვრებელ ბინაში, გასტაცეს ათასი დოლარი და მობილური ტელეფონი.

გიორგი ბურჯანაძის დაკავებისას ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ქემეკლერის მობილური ტელეფონი და ალაზ ალიზას პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო ბინიდან ამოიღეს მცირეკალიბრიანი შაშხანის 412 ვაზნა.

ბაგალიშვილის დაკავებისას ამოიღეს უცხოური მარკის უნომრო პისტოლეტი, ხოლო სახლიდან - ზემოთ ხსენებული ხელწერილი. დაჯგუფების სხვა წევრთა დაკავების მიზნით, ტარდება ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები. **მედია-ნიუსი**

# კონტრაბანდის საცავი

ფინანსური პოლიციის სამეგრელო-გურიის სამმართველოს თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის "ხორცკომბინატის" დასახლებაში აფხაზეთიდან კონტრაბანდული გზით შემოტანილი სიგარეტის კიდევ ერთ საცავს მიაგნეს. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, სამალავში 15 ათას 200 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ინახებოდა. ცნობილია მფლობელთა ვინაობაც. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია მარკირებას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკების გარეშე შენახვის მუხლით.

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ კონტრაბანდული სიგარეტის გადაზიდვის ფაქტი გამოავლინა, ასევე, ე.წ. "კოხიას ფონის" მიმდებარე ტერიტორიზე, სადაც ათას 300 ლარის ღირებულების 2 ათასი კოლოფი უცხოური წარმოების თამბაქოს გადაზიდვის ფაქტზე ზაზა ზურცია დააკავეს.

ქეთევან შონიას კი ათას 150 ლარის ღირებულების 1500 კოლოფი სიგარეტი გადაჰქონდა. სისხლის სამართლის საქმეები მის მიმართაც აღიძრა.

ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველომ სამი ავტომანქანა დააკავა. ავტომანქანები აღურიცხავი სამრეწველო პროდუქციით იყო დატვირთული და მათ ეთიბარ გასაევი, ტარიელ მამედოვი და ალიგულ ალავერდოვი მართავდნენ. ამჟამად ტვირთს ექსპერტიზა უტარდება, რაც ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს. **24 საათი**

# ძვირფასი საათების უკანონოდ გატანის მცდელობა

შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისის აეროპორტში ბელგიაში მცხოვრები, საქართველოს მოქალაქე ომარ ჩამაილოვი დააკავეს, რომელიც საზღვარზე ბრილიანტებით მოჭედილი საათების გადატანას შენიღბული გზით ცდილობდა. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ჩამაილოვისგან "როლექსისა" და "კარტიეს" ფირმის, ბრილიანტის თვლებით მოჭედილი საათები ამოიღეს, რომლებიც ტკბილეულში იყო დამალული.

არსებული ინფორმაციით, ამოღებული ნივთები 25 ათას აშშ დოლარზე მეტი ღირებულებისაა. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა და ნივთების რეალური ფასის განსაზღვრის შემდეგ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდება. **24 საათი**



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# "ვარდები საქართველოდან"

## მოულოდნელი მივლინება

გულახდილად გამოგიტყდებით, რომ ვინაიდან არც პოლიტიკოსი, არც მთავრობის თუნდაც რიგითი წევრი და არც დეპუტატი არ ვარ, მივლინებებში ხშირი სიარულით, სამწუხაროდ, არ გამოვირჩევი. საზღვარგარეთ, ფაქტობრივად, ყოველთვის მხოლოდ პირადი შესაძლებლობებითა და კონტაქტებით დავდიოდი და დავდივარ. ამიტომ, გერმანიაში საქართველოს საელჩოს მიერ საქველმოქმედო ღონისძიებაზე დასასწრებად ჩემმა მიწვევამ გამაკვირვა და მოულოდნელად მასიამოვნა. დამერწმუნეთ, ნამდვილად სასიამოვნოა, როდესაც ქართული ჟურნალისტიკის მრავალრიცხოვანი არმიიდან, "რუსთავი 2"-ის და "პირველი არხის" პარალელურად, რატომღაც, შენც გამოგარჩევენ. ვინაიდან საელჩოს მიერ დაგეგმილი გრანდიოზული მიღება საქველმოქმედო მიზნებს ისახავდა, შესაბამისად, მიწვეული სტუმრების, ჟურნალისტების მგზავრობის ხარჯებს საელჩო თავის თავზე არ იღებდა. აი, აქ კი ჩემმა საყვარელმა გაზეთმა "24 საათმა" ლოგიკური ინტერესი გამოიჩინა და მე მივლინებაში გამიშვა.

საკმაოდ მოუხერხებელი, გრძელი მარშრუტის - თბილისი-ლონდონი-ბერლინის და ხიტროუს აეროპორტის შოკში ჩამგდები, არაადამიანური მასშტაბების მიუხედავად, British Airnays-ის კომპანიის მომსახურების კომფორტულობამ, ხარისხმა მგზავრობა მაქსიმალურად მოხერხებული და საინტერესოც კი გახადა. ხიტროუს აეროპორტისგან (პირველად ვიყავი) და იქ აწყობილი სერვისისგან მიღებული შთაბეჭდილებები ნამდვილად ცალკე წერილს იმსახურებს, მაგრამ ახლა ვეცდები, თემას არ გადავუხვიო და გერმანიას დავუბრუნდე.

გერმანიაში, კონკრეტულად კი ბერლინში არაერთხელ ვყოფილვარ. პირველად ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქალაქს კედელი ჰყოფდა, ბოლოს კი ათი წლის წინ ვიყავი ჩასული. არ ვიცი, შეიძლება, ამ წლების განმავლობაში ჩვენი თვალი დასავლურს შეეჩვია, ან ბერლინმა ნაწილობრივ ის შიკი დაკარგა, რომელიც მას თუნდაც ათი წლის წინ ჯერ კიდევ ჰქონდა და დასავლურობის, კაპიტალიზმის სიმბოლოს შთაბეჭდილებას უქმნიდა. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ გაერთიანების შემდეგ, კულტურულ-არქიტექტურულ-ნოვატორული თვალსაზრისით ქალაქი ნამდვილად კიდევ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო გახდა. ყოფილი აღმოსავლეთი ბერლინის ნაწილი კი, რომელშიც ღრმა სოციალიზმის დროს ვარ ნამყოფი, წარმოუდგენლად მოვლილი, გაცოცხლებული, გამდიდრებული და ბევრად უფრო ლამაზი და საინტერესო მომეჩვენა.

## ელჩთან შეხვედრა ბერლინის კაფეში

გერმანიაში საქართველოს ელჩს მაია ფანჯიკიძეს ჩასვლისთანავე დავურეკე და ღონისძიების წინა დღეს ბერლინის ერთ-ერთ მყუდრო კაფეში შევხვდი. როგორც უკვე გითხარით, მივლინებებს შეჩვეული არ ვარ და სწორედ ამ შეუჩვევლობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის გამო მაქსიმალურად დეტალურად, სრულად მინდოდა გამეგო, რაზე ვარ მივლინებული. რა, რისთვის, სად, როგორ, რატომ და ვის მიერ ეწყობა.

მაია ფანჯიკიძესთან კაფეში რამდენიმე საათიანი შეხვედრის შემდეგ, მისდამი წლების განმავლობაში არსებული პატივისცემა და სიმპათია კიდევ უფრო გამიძლიერდა, ამიმაღლდა. არ ვიცი, ადრე ვერ ვამჩნევდი, არ მაინტერესებდა თუ ცალკეულ პიროვნებებში განსაკუთრებულმა ენთუზიაზმმა, საქმის გაკეთების სურვილმა ამ ბოლო პერიოდში კიდევ უფრო იმატა? მართალია, ჯერჯერობით შეიძლება ერთეულებში, მაგრამ მაია ფანჯიკიძე, დამერწმუნეთ, სწორედ ამ გამორჩეულ ერთეულებს მიეკუთვნება. რამდენიმე საათის განმავლობაში ელჩი პატარა გოგოსავით თვალებანთებული, ემოციური, დაუღალავად ყველა იმ დეტალზე მიყვებოდა, რომელსაც საქართველოს საელჩომ მოუყარა თავი, რათა დასახული მიზნისთვის მიეღწია. მიზანი კი მარტივი, ადვილი გასაგები იყო - გერმანიის, ბერლინის კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებაში საქართველოს სახელის კიდევ ერთხელ გაჟღერება, მისი ახლებური, პოსტრევოლუციური იმიჯის მიწოდება და პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდისთვის გრანდიოზული მიღების - "ვარდები საქართველოდან" - მოწყობა.

თუ საქართველოში ნებისმიერი სასიკეთო იდეის უფულოდ, ნაცნობობით, მეგობრობით განხორციელება ჯერჯერობით მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, გერმანიაში ეს დიდი ხანია, გამორიცხულია და თითოეული კაპიკი საკმაოდ რთულად საშოვნია. დღევანდელი ბერლინის კულტურული ღონისძიებების სიჭარბის ფონზე, როდესაც თითოეული მსხვილი ბანკირი, მეწარმე ან ცნობილი ბერლინელი ყოველდღე 20-30 სხვადასხვა მოსაწვევს ღებულობს, ძალიან ძნელია, გერმანელები შენი ღონისძიების მნიშვნელობაში, სისწორესა და აუცილებლობაში დაარწმუნო, მოწვევაზე თანხმობა მიიღო და ფული გააღებინო. ამას ძალიან სკრუპულოზური, მეთოდური, მოთმინებითა და ენერგიით აღსავსე მუშაობა და გერმანული მენტალიტეტის, ცხოვრების წესის, ხედვის, ეტიკეტის ზუსტი ცოდნა სჭირდება.

ვინაიდან გერმანიაში საქართველოს საელჩოს კულტურაზე გათვალისწინებული ბიუჯეტი არ გააჩნია და მთელ ამ საღამოს მოწყობაზე საქართველოს ერთი კაპიკიც კი არ უნდა დახარჯულიყო, საელჩომ და პირადად მაია ფანჯიკიძემ ნივთიერი და ფულადი სპონსორების მოძიება, დარწმუნება დაიწყო და საქმე დაიძრა. უფასოდ დაიბეჭდა ინფორმაციული ფურცელი-მიმართვა, რომელშიც ზუსტად იყო მითითებული რა, რისთვის და რატომ კეთდებოდა. დაიწყო შედეგიანი თანამშრომლობა სახალხო დიპლომატიის ორგანიზაცია Das Corps-თან და მის ხელმძღვანელ ალექსანდრ ვოლფთან, რომელმაც საელჩოს იდეა ირწმუნა, მხარში ამოუდგა და საქმის ბოლომდე მიყვანაში დაეხმარა. ბერლინში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული დარბაზის, რომლის შესახებ მოგვიანებით მოგიყვებით, დირექციასთან მოლაპარაკების შედეგად დარბაზი, რომლის ერთი დღის არენდა 16000 ევრო ღირს, საქართველოს საელჩოს უფასოდ დაეთმო. საკანცელარიო ფირმამ, რომელსაც საელჩო წლების განმავლობაში კონვერტებს, ბლანკებს აბეჭდინებდა, ერთგულ კლიენტს 2000 ევროს ღირებულების მოსაწვევები უფასოდ დაუბეჭდა. გერმანიის ტელევიზიის მთავარი არხის საინფორმაციო გადაცემის ყველაზე ცნობილი ტელეწამყვანი საღამოს წაყვანას უფასოდ დათანხმდა. სხვადასხვა ტიპის სამსახურები - ავეჯით, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ელექტროენერგია, დაცვა, სახანძრო უსაფრთხოება, დალაგება და სხვა ერთდღიან უფასო მომსახურების აუცილებლობასა და სისწორეში დაარწმუნეს. ათასობით წითელი ვარდით მიღების დეკორირებას ბერლინში ცნობილი საყვავილე სპონსორობდა. დაიწყო მოლაპარაკებები საღამოს სანახაობრივი ნაწილის მოწყობის თაობაზე. მომღერალი ქეთი მელუა და მოდელიერ დიზაინერი თამუნა ინგოროყვა, რომლებიც ბერლინში საკუთარი ხარჯებით ჩამოვიდნენ, საელჩოს მიერ შერჩეულ იქნენ, როგორც დღევანდელი საქართველოს ახალგაზრდული სულის სიმბოლური ახალი სახეები. კონცერტისა და მოდების ჩვენებისთვის აუცილებელი ტექნიკა, ინსტრუმენტები, განათება, აპარატურა, მოდელები, რაც 25000 ევრო ჯდებოდა, სხვადასხვა გამქირავებელი ორგანიზაციის ქველმოქმედების შედეგად 13000 ევრომდე იქნა დაყვანილი და ფულადი სპონსორების მიერ გაღებული თანხებით დაფარული. საღამოს მედიაპარტნიორობაზე გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჟურნალი "Madame" დათანხმდა. მიღების დარბაზის მეზობლად მშენებარე ფეშენებელური სასტუმროს ხელმძღვანელობა დაარწმუნეს, რომ საღამოს ორგანიზაციაში უსასყიდლო მონაწილეობა მათი



ყოფილი ფაიფურის ქარხნის ფასადი.







რეკონსტრუქციის შემდეგ აღდგენილი დარბაზი.

მომავალი სასტუმროსთვის საუკეთესო რეკლამა იქნებოდა და 400 სკამი, მაგიდები, სუფრები, ჭიქები და ა.შ. ერთი დღით ასევე უფასოდ გადაეცათ. Deutche Bank-მა გადარიცხვის ფურცლები უფასოდ დაბეჭდა და ისინი თითოეულ სტუმარს ურიგდებოდა. ქართული ღვინის მწარმოებელმა ფირმა "მიმინომ" დაგეგმილი ღონისძიების შესახებ ინტერნეტიდან თავად გაიგო და ღვინო, ბორჯომი უსასყიდლოდ შესთავაზა. პაატა ბურჭულაძის ფონდმა და ამ ფონდის წარმომადგენელმა თეონა ჯორბენაძემ საღამოზე გასაშვებად სპეციალურად ათწუთიანი ფილმი მოამზადა, რომლეშიც ამ საღამოს ქველმოქმედების კონკრეტული ადრესატის - გურჯაანის უპატრონო ბავშვთა სახლის შესახებ ამომწურავი, შთამბეჭდავი, შესაბამისად კი საქველმოქმედო მიზნის მისაღწევი ინფორმაცია იყო მიწოდებული, რასაც გერმანელებში, რომლებსაც თავისი ქველმოქმედების კონკრეტული ადრესატის ცოდნა ურჩევნიათ, სასურველი შედეგი უნდა გამოეღო. მოწვეული იყო გერმანული მასმედიის 40 ჟურნალისტი, რომლებმაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბევრად უფრო ვრცლად, საინტერესოდ და მონდომებულად გააშუქეს საქართველოს საელჩოს თითოეული თანამშრომლის თვეების დაუღალავი შრომის შედეგი, ვიდრე ქართულმა მასმედიამ.

## "ვარდები საქართველოდან"

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის "იავნანას" მეშვეობით გურჯაანის უპატრონო ბავშვთა სახლის, რომელსაც არ აქვს გაზი, სამრეცხაო და სხვა ელემენტარული პირობები, დასახმარებლად გერმანიაში საქართველოს თითოეული თანამშრომლის, მათი ოჯახების წევრების, პირადად ელჩის, საელჩოს კულტურის განყოფილების წარმომადგენლის სოფო საყვარელიძის და ბევრი სხვა გულშემატკივარი ენთუზიასტის მეშვეობით 2005 წლის პირველ აპრილს ბერლინში გრანდიოზული, ფაქტობრივად, უპრეცედენტო გალა მიღება-კონცერტი მოეწყო. დარბაზი, სადაც ეს მასშტაბური საღამო ტარდებოდა, პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის ფაიფურის სამეფო მანუფაქტურის (KPM) გაუქმებული, დანგრეული ქარხანა იყო, რომელიც 2002 წელს აღადგინეს და დღეს მიღებების, საღამოების მოსაწყობ ყველაზე პრესტიჟულ, ძვირადღირებულ და ლამაზ ადგილად ითვლება. ყოფილი ქარხნის წინ ქვით მოპირკეთებული დიდი ეზო ლამპიონებით განათებული, ძველებური, უნიკალური ფაიფურის ექსპონატებიანი შუშის ვიტრინებით დეკორირებული, ათასობით წითელი ვარდის თაიგულით მორთული იყო და მის შუაგულში, ტრადიციული წითელი ხალიჩის ნაცვლად ვირტუალური, წითელი შუქებით გაკეთებული განიერი ბილიკი მიდიოდა. შენობის შესასვლელში თამუნა ინგოროყვას მიერ ხევსურულ მოტივებზე სტილიზებული, ეფექტურ სამოსში ჩაცმული ელჩი სტუმრებს იღებდა. გერმანიაში მყოფი ქართველი სტუდენტები გარდერობში გემსახურებოდნენ და ევროპიზირებული ქართული მომხიბვლელი ღიმილით სასიამოვნო საღამოს გისურვებდნენ. უამრავი სტუმრის მიუხედავად, მიმტანები საოცარი პროფესიონალიზმითა და მოხერხებულობით ლავირებდნენ და ღვინოს, ბორჯომს, წვენებს და უგემრიელესსა და ულამაზეს პატარა კანაპეებს გთავაზობდნენ. ხმადაბლა ისმოდა სასიამოვნო მუსიკა და ქართულ-გერმანულ-ინგლისურენოვანი საუბარი. სტუმრები აბსოლუტურად უშუალოდ ეცნობოდნენ ერთმანეთს, საქართველოს შესახებ ინფორმაციას ცვლიდნენ, იღიმებოდნენ, წითელი ვარდების უზარმაზარ თაიგულებთან, საქართველოს დროშასთან, ელჩთან ერთად ფოტოს გადაღებას ცდილობდნენ, უნიკალური ფაიფურის შემინულ, ოსტატურად განათებულ ნიმუშებს, ფაიფურის გამოსაწვავ უძველეს ღუმელებს ათვალიერებდნენ და წარმოდგენის დაწყებას ელოდნენ. სანახაობის საყურებლად მომზადებულ თითოეულ სკამზე საღამოს შესახებ სრული ინფორმაციის მქონე ბუკლეტი, საქველმოქმედო თანხის გადარიცხვის ბლანკი და წითელი კალამი, რომლითაც მე ეს წერილი დავწერე, იდო. სტუმრები უკვე ადგილებს იკავებდნენ, როდესაც დარბაზში მაია ფანჯიკიძის თანხლებით საქართველოს პირველი ლედი შემოვიდა და მქუხარე აპლოდისმენტებით დარბაზი ერთსულოვნად ფეხზე წამოიჭრა. უნდა გითხრათ, რომ ძალიან სასიამოვნო გრძნობა ყოფილა, როდესაც ასობით უცხოელი, ამ შემთხვევაში კი გერმანელი შენი ქვეყნის პირველ ლედის და მისი სახით კი შენს ქვეყანას ფეხზე ამდგარი ეგებება და აპლოდირებს. ცნობილმა გერმანელმა ტელეწამყვანმა, რომლის პროფესიონალიზმი, იუმორი, შარმი ენის არცოდნის გამო ვერ შევაფასე, საღამო გახსნა. სახალხო დიპლომატიის ორგანიზაციის ხელმძღვანელი და შემდეგ საქართველოს ელჩი მაია ფანჯიკიძე სიტყვით გამოვიდნენ, ეკრანი განათდა და იქიდან დამსწრე საზოგადოებას პაატა ბურჭულაძე მიესალმა, საკუთარი ფონდის მოღვაწეობის შესახებ მოკლედ მოუყვა და ფონდის მიერ ამ საღამოსთვის სპეციალურად გადაღებული ფილმის ჩვენება დაიწყო, სადაც გურჯაანის უპატრონო ბავშვთა სახლის მკვიდრთა ყოფა, ოცნებები, ბავშვური იმედით სავსე თვალები, უშუალო ღიმილი და წარმოუდგენლად მძიმე ცხოვრების პირობები იყო ასახული. ჩემ გვერდზე გერმანელების რესპექტაბელური წყვილი იჯდა და ბეწვებში გახვეული ქალბატონი ათი წუთის განმავლობაში ცრემლებს ვერ იკავებდა. ქმარმა კი საღამოს დაწყებისთანავე გადასარიცხი ბლანკი და კალმისტარი მოიმარჯვა და სულგანაბული, გაოცებული სახით ეკრანს შესცქეროდა. გულისამაჩუყებელი, დამთრგუნველი, დამაფიქრებელი სინამდვილის შეულამაზებლად ამსახველი ფილმი თამუნა ინგოროყვას საკმაოდ ეფექტური მოდელების ჩვენებამ შეცვალა. საღამოს საკონცერტო ნაწილი კი ლონდონიდან სპეციალურად ამ საღამოსთვის ჩამოსული ქეთი მელუას სიმღერებმა დაასრულა. ეტყობა, მელუა გერმანიაში საკმაო პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობს. სიმღერებს შორის ტაში, სიმღერის დროს ემოციური შეძახილები, ფეხზე წამოდგომა და ცეკვა ქეთი მელუას გამოსვლას თან ახლდა. ჩემ გვერდზე მჯდომი დარბაისელი წყვილი კი თვალდახუჭული, ხელჩაკიდებული რითმში ირხეოდა და პერიოდულად წამღერებასაც კი ცდილობდა. კონცერტი დასრულდა, მიღება კი გაგრძელდა, სცენაზე ორი ქველმოქმედი მიიწვიეს, რომლებმაც გადავსებული დარბაზის თანდასწრებით 3000-3000 ევროს გადარიცხვის ჩეკებს მოაწერეს ხელი, რითაც დარბაზის აღფრთოვანება, მხარდაჭერა, აპლოდისმენტები, ჩვენი, ქართველების კი, რომლებიც აშკარა უმცირესობას წარმოვადგენდით, მადლიერება დაიმსახურეს. კვლავ ტაში, ჩუმი მუსიკა, ღვინო, პროფესიონალი მიმტანები, სამენოვანი სასიამოვნო საუბარი, ღიმილი, შემინული უნიკალური ფაიფური, სტუმრებისთვის ჩამორიგებული სამახსოვრო საჩუქრები და ვარდები, სისხლივით წითელი ვარდები. ვარდები საქართველოდან. და სიამაყის, კმაყოფილების გრძნობა. გრძნობა იმისა, რომ ეს პომპეზურობით, დახვეწილობით, ზომიერებითა და დაუვიწყარი შოკით აღსავსე საღამო შენი ქვეყნის საელჩომ მოაწყო. სიამაყის გრძნობა, რომ შენ ქეყანას გერმანიაში მცოდნე, ენერგიული, ინტელიგენტი და პატრიოტი ელჩი წარადგენს. რწმენა იმისა, რომ ამ საღამოდან შემოსული თითოეული კაპიკი ადრესატს მოხმარდება. მადლიერება იმისა, რომ შენს ქვეყანას, მის სიახლეებს, მის მიერ არჩეულ ახალ გზას ამდენი გულშემატკივარი ჰყავს გერმანიაში და საქართველოს საელჩომ მათ ასე ელეგანტურად მოუყარა თავი და საშუალება მისცა ტაქტიანად, ვისაც როგორც შეუძლია, შენს ქვეყანას ისე დაეხმაროს, გვერდში ამოუდგეს და მისი მომავალი იწამოს.

## ათეული

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ენდრიუ ჰეივუდი | "პოლიტიკური იდეოლოგიები" | "ლოგოს პრესი" | 5.6 |
| დავით-დეფი გოგიბედაშვილი | "ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვოს" | "სიესტა" | 5.2 |
| ამერი და სხვ. | "ბერძნული მითები" | "ნია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 4 |
| ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 3.6 |
| პაულო კოელიო | "ალქიმიკოსი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 3.6 |
| აბაკელია და სხვ. | "საქართველოს ატლასი მოსწავლეებისთვის. ბუნება და კულტურა" | "დიოგენე" | 2.8 |
| პაულო კოელიო | "თერთმეტი წუთი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.8 |
| პაულო კოელიო | "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.8 |
| უოლცი | "ადამიანი, სახელმწიფო, ომი" | "ლიტერა" | 2.8 |
| მზია სურგულაძე | "საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის" | "ლიტერა" | 2.4 |




**ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ცოდვის ქალაქი" | რობერტ როდრიგესი, ფრენკ მილერი | ჯოშ ჰარტნეტი, მიკი რურკი, ბრიუს უილისი | 29,120,273 | 29,120,273 |
| "სილამაზის სალონი" | ბილი ვუდრუფი | ქუინ ლატიფა, კევინ ბეკონი, ალისია სილვერსტოუნი | 12,801,465 | 16,647,604 |
| "გამოიცანი, ვინ" | კევინ სალივანი | ბერნი მაკი, ეშტონ კუჩერი, ზოე სალდანა | 12,716,557 | 41,040,531 |
| "რობოტები" | კრის ვეჯი, კარლოს სალდანა | ევან მაკგრეგორი, ჰელე ბერი, გრეგ კინეარი, მელ ბრუქსი, ჯენიფერ კულიჯი, რობინ უილიამსი | 9,025,372 | 104,420,872 |
| "მის კონგენიალობა-2: შეიარაღებული და მშვენიერი" | ჯონ პასკინი | სანდრა ბულოკი, რეჯინა კინგი, ენრიკე მურჩიანო | 8,134,453 | 31,127,198 |
| Pacifier | ადამ შენქმენი | ვინ დიზელი, ლორენ გრეჰემი, ბრიტანი სნოუ | 5,800,206 | 96,117,665 |
| "ზარი-2" | ჰიდეო ნაკატა | ნაომი უოტსი, დევიდ დორფმანი, საიმონ ბეიკერი | 5,689,130 | 68,066,127 |
| Upside of Anger | მაიკ ბაინდერი | კევინ კოსტნერი, ჯოან ალენი, ერიკა ქრისტენსენი | 4,025,000 | 8,603,771 |
| "ჰიჩი" | ენდი ტენანტი | უილ სმიტი, ევა მენდესი, კევინ ჯეიმსი | 2,906,879 | 171,266,743 |
| "ყინულის პრინცესა" | ტიმ ფიველი | ჯოან კიუზეკი, კიმ კეტროლი | 2,749,671 | 18,753,334 |



# როგორ იბადება ბესტსელერები

## გაზაფხული "პარნასში"

ვერა ნეფარიძე

*"მე, მარგარიტა", - ეს ანა კორძაია-სამადაშვილის ახალი წიგნის სახელწოდებაა. კაფე "პარნასში" კრებულის გუშინდელი პრეზენტაცია "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მორიგი ქართული ბესტსელერის დაბადებას გვანიშნებდა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფიო კირვალიძის ლიტერატურული ფსევდონიმით პირველი, სადებიუტო წიგნი ავტორმა შარშანწინ გამოსცა. მაგრამ თბილისში რა დაიმალება და მალევე (პირველ რიგში, ლიტერატურულ წრეებში) გაირკვა, რომ ახალი ავტორი ქალბატონი, იმჟამად ჟურნალისტად მომუშავე ანა კორძაია-სამადაშვილი გახლდათ. ისე, ძალიანაც რომ სდომოდა ავტორს დამალვა, ვერ შეძლებდა - კრებული გამოცემისთანავე ლიტერატურული პრემია "საბას" ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა. ერთი სიტყვით, ფსევდონიმმა მეტისმეტად ცოტა ხანს იარსება. თუმცა კი, მოთხრობების პირველი კრებული "ბერიკაობა" სწორედ სოფიო კირვალიძის სახელით გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ მწერლის სადებიუტო გამოცემის ავტორიც, ისევე, როგორც ამჯერად, "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" გახლდათ. ბოლომდე მართლები რომ ვიყოთ, ვერ ვიტყვით, თითქოს გამომცემლობა მაშინ დიდ რისკზე წავიდა (ან რატომ უნდა წასულიყო?). ანას მოთხრობები უკვე დაბეჭდილი ჰქონდა მალხაზ ხარბედიას "წიგნებსა" და "არილში". შესაბამისად, მკითხველი უკვე იცნობდა ახალ ავტორს, რომლის მიმართაც გარკვეული ინტერესი უკვე გასჩენოდა. პირველი პრემიისა და სადებიუტო კრებულის გამოცემის (რასაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ წარმატებული შემოსვლა ლიტერატურულ რეალობაში) შემდეგ იყო ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობები, თარგმანები.

იმ ყველაფერს, რაც გუშინ კაფე "პარნასთან" ხდებოდა, ვერც მხოლოდ "საბას" და ვერც ლიტერატურული გაზეთების უხვად დათმობილ გვერდებს ვერ დავაბრალებ. თავიდან ისიც კი გავიფიქრე, შეეტყოთ თბილისელებს გაზაფხული, დაუზარლად დაიწყებენ ახლა ყველგან სიარულს-მეთქი: "პარნასის" მისადგომებთან ხალხმრავლობა ორასი მეტრიდანაც მოგხვდებოდა თვალში; თუმცა, კარგი ამინდი პრეზენტაციის ანშლაგის მთავარი მიზეზი რომ არ ყოფილა, ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც კაფეში, იქ, სადაც მთავარი მოქმედება ხდებოდა, შევიხედე და მივხვდი, რომ უახლოესი 20 წუთის განმავლობაში იქ მოხვედრის იმედი არ უნდა მქონოდა. ასეც მოხდა: ვიდრე ავტოგრაფის მსურველთა ნაკადი არ შემცირდა, ავტორამდე ვერც მივაღწიე.

"პარნასის" გუშინდელ სტუმრებს ერთადერთი ნიშნით თუ გააერთიანებ. პრეზენტაციაზე იყვნენ გამომცემლები (თავისთავად ცხადია), ლიტერატორები (მათ შორის ე.წ. "განყენებულებიც" - ხშირად რომ ვერ შენიშნავთ კოლეგების მსგავს დღესასწაულებზე), "პარნასის" "მობინადრეები" - არც ერთი პარასკევი რომ არ გაუცდენიათ; იყვნენ ფოტოგრაფები, მხატვრები, ცნობილები, ნაკლებად ცნობილები ფართო საზოგადოებისთვის და საერთოდ, უცნობებიც. უბრალოდ, "პარნასის" გუშინდელი სტუმრები ანა კორძაია-სამადაშვილის მეგობრები იყვნენ. და ანას რომ არ ვიცნობდე, ამ უკანასკნელ ფრაზას საკუთარ თავს სამარცხვინო სიყალბედ ჩავუთვლიდი...

კრებული "მე, მარგარიტა" რომ უდავოდ იქნება მომავალი კვირის ბესტსელერი (ისეთი, შაბათის ნომერში რომ ვაქვეყნებთ ხოლმე "პარნასის" მონაცემების მიხედვით), ამაში ეჭვიც არ მეპარება. ჩემს თვალწინ ანამ იმდენი ავტოგრაფი გასცა, რამდენი წიგნიც, ალბათ, ერთი თვის განმავლობაში ეყიდებათ ხოლმე. თუმცა, როგორც ჩანს, უბრალოდ ბესტსელერთან არ გვაქვს საქმე. როგორც "პარნასის" მასპინძელმა, მწერალმა ბესო ხვედელიძემ მითხრა, "მე, მარგარიტა" ისეთი წიგნია, დარწმუნებულია, რომ სწორედ ის იქნება წლევანდელი "საბას" ერთ-ერთი რეალური კანდიდატი. ჩვენც დაველოდოთ "საბას", რომელიც, როგორც ვიცი, 26 მაისს გამოავლენს გამარჯვებულებს. საინტერესოა, რამდენად შეაფასებს პრემიის კომპეტენტური ჟიური ანა კორძაია-სამადაშვილის მიერ მონათხრობ ისტორიებს, რომლებიც წიგნის ავტორმა მეგობრების ნაამბობებიდან შეკრიბა.

# ძალიან საშიშები და გარიყულები

## აქცია-გამოფენა ფსიქიკური პრობლემების მქონეთა მხარდასაჭერად

ია ვეკუა



იური ლობოდინის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკის კარტოთეკაში აღნუსხული წიგნები, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ მათი სამუდამო განსასვენებლის კლასიკურ სივრცეში ოდესმე მსგავსი სანახაობა გაიმართებოდა. "კორნის", "პინკფლოიდისა" და, ცხადია, "ნირვანას" საფირმო მაისურებში გამოწყობილი, პირსინგითა და სვირინგებით "გაწყობილი" "ახალი ჰიპები" ერთხმად უცხადებდნენ სოლიდარობას ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს და საზოგადოებას მათ მიმართ მეტი შემწყნარებლობისკენ მოუწოდებდნენ. თუმცა, სტუმრებს მაინც აფრთხობდა დარბაზის შესასვლელთან გამოკრული ორაზროვანი წარწერა: "ფრთხილად, შესვლა ძალიან საშიშია."

აქციამ "ნუ გაგვრიყავთ" პერფორმანსული სანახაობისა და ფსიქიკურად დაავადებულთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის ფონზე ჩაიარა. აქციის "ლოკომოტივი" - არასამთავრობო ორგანიზაცია "კავშირი თანაბარი უფლებებისთვის" მხოლოდ კენტი წევრით, კახა ხუბუათი იყო წარმოდგენილი, რომელიც ინფორმაციის გაცემასა და პერფორმანსში მონაწილეობას ერთნაირი წარმატებით ახერხებდა.

დადგმაში მონაწილეობდნენ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც პაციენტებს, მათ "მომთვინიერებლებსა" და ექიმებს განასახიერებდნენ:

საერთო პალატაში რამდენიმე პაციენტი ირევა, სიგარეტს ნერვიულად ეწევიან, ერთმანეთს მხოლოდ თვალებით ესაუბრებიან. მათ შორის დადგმის სიმბოლური პერსონაჟი - მოწყენილი პიერო დადის, რომლის ტრადიციულ თეთრ ფორმას წითელი კედები ასრულებს.

**მცირე ლირიკული გადახვევა:** წარმოდგენის მსვლელობისას დარბაზში ბიბლიოთეკის თანამშრომლებიც ტრიალებდნენ და ვერაფრით გაეგოთ, რა ხდებოდა ამ კედემოსილებით აღსავსე ტერიტორიაზე. ერთ-ერთი მათგანი პერფორმანსის მონაწილე გოგონას მიუახლოვდა, რომლის მცირე როლი წარმოდგენის მსვლელობისას სიგარეტის ნერვულ მოწევას ითვალისწინებდა. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მას მხოლოდ "თანამშრომლისთვის" დამახასიათებელი მკაცრი ტონით მოუწოდა, დარბაზში სიგარეტს ნუ ეწევითო (როლში შეჭრილი გოგონა დაიბნა) და მკაცრი მზერაც ესროლა.

**წარმოდგენა კი გრძელდებოდა:** ერთ-ერთი პაციენტი ფურცლებში ირევა - ცდილობს, რამე დაწეროს ან დახატოს. მისი მცდელობა წარუმატებლად მთავრდება, რადგან საზოგადოების როლში მყოფი მაყურებელი დაცინვას დაუწყებს. ამით შეურაცხყოფილი გოგონა ცუდად გახდება და ისტერიკა ემართება. ექთანი სანიტრების დახმარებით დამაწყნარებელს გაუკეთებს, თუმცა პაციენტი მაინც გაითავისუფლებს თავს, მივა მოლბერტთან და დაიწყებს ხატვას იმის ნიშნად, რომ ძალადობას ხელოვნებისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილმა სძლია.

არ ვიცი, რა დახატა დადგმის გმირმა, მაგრამ ნამდვილი პაციენტები იმას ხატავენ, რაზეც ოცნებობენ: საკუთარ თავს ოჯახურ გარემოში, ჯვართან, ეკლესიაში, გაზის წითელ ბალონს და ელექტროქურაზე შემოდგმულ ქვაბს. აქტუალურია ხატები და საქართველოს გერბი, გლდანის პეიზაჟები ზამთარში. ნამუშევრების ფასი საშუალოდ 50 ლარია, ხოლო მათი გაყიდვიდან შემოსული თანხა თავად პაციენტებს მოხმარდება.

ფსიქიკურად დაავადებულთა ნამუშევრების გვერდით გამოფინეს თათა მეტივიშვილისა და ნინო გაფრინდაშვილის მიერ საავადმყოფოში გადაღებული საკმაოდ საინტერესო ფოტოები. მათზე გისოსებს მიღმა მყოფი პაციენტები არიან აღბეჭდილი, რომელთა ერთადერთი "დანაშაული" საკუთარი ავადმყოფობაა.

აქციას ორიგინალური შემადგენლობის ბენდის მუსიკალური "ბილიკი" მისდევდა. აკუსტიკური გიტარა, ვიოლინო, ვიოლონჩელო და ფანდური სიტუაციის შესაფერისი კომპოზიციებით ატკბობდა გარშემომყოფებს და კიდევ ერთხელ მოგვიწოდებდა, არ გავრიყოთ!

BRITISH AIRWAYS

**მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრითიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

ქვემოთ მოყვანილი კითხვებისათვის შეარჩიეთ სწორი პასუხი, ამოჭერით გაზეთის კონვერტირებული ნაწილი და დააბრუნეთ ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისში (მისამართი: თავისუფლების მოედანი 4, ... პლაზა 0105, თბილისი; ტელ: 94 07 19/20) 2005 წლის 12 აპრილის 17:00 საათამდე. სწორი პასუხები გათამაშდება ლატარიაში. გამარჯვებული დაჯილდოვდება ბრითიშ ეარვეისის თბილისი-ლონდონი-თბილისის ორი ბილეთით.

ლატარიის გათამაშება შედგება 2005 წლის 15 აპრილს, 17:30 საათზე სასტუმრო მარიოტის ... გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად მოგიწვევთ ტელეფონით.

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:

სახელი, გვარი

ასაკი

ტელეფონ(ებ)ი

სამსახურის ტელეფონი (აუცილებელი არ არის)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

* გაზეთ "24 საათის" და ბრითიშ ეარვეისის თანამშრომლები ვიქტორინაში და ლატარიაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან.

1. კვირაში რამდენ რეისს ახორციელებს ბრითიშ ეარვეისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
   1. კვირაში ერთ რეისს
   2. კვირაში სამ რეისს
   3. ყოველდღიურ რეისებს
2. კვირის რომელ დღეებში ახორციელებს ბრითიშ ეარვეისი რეისებს თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
   1. ყოველ სამშაბათს
   2. ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და შაბათს
   3. ყოველდღე
3. დღის რომელ მონაკვეთში ფრენებს ბრითიშ ეარვეისის რეისები თბილისსა და ლონდონს შორის?
   1. დილით
   2. საღამოს
   3. შუაღამისას
4. ბრიტანეთის რომელ აეროპორტში მოფრინავს ბრითიშ ეარვეისი თბილისიდან?
   1. ლონდონი-გეტვიკი
   2. ლონდონი-ჰითროუ
   3. ლონდონი-ლუტონი
5. რომელი ტიპის თვითმფრინავით ხორციელდება თბილისი-ლონდონი - თბილისის რეისები?
   1. აერობუსი 320
   2. ბოინგ 747
   3. კონკორდი
6. კვირაში რამდენი დღის განმავლობაშია ღია ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
   1. ხუთი
   2. ექვსი
   3. შვიდი
7. სად მდებარეობს ბრითიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
   1. სასტუმრო შერატონ-მეტეხი-პალასში
   2. ლესელიძის 44-ში
   3. სასტუმრო კორტიარდ-მარიოტის მიმდებარე ... პლაზაში
8. დაასახელეთ რეისის ხანგრძლივობა თბილისსა და ლონდონის ჰითროუს აეროპორტს შორის.
   1. ხუთი საათი
   2. ექვსი საათი
   3. თორმეტი საათი
9. რამდენი სამგზავრო კლასია აერობუს 320-ის სალონში თბილისი-ლონდონი- თბილისის რეისებზე?
   1. ერთი: ეკონომ-კლასი
   2. ერთი: ბიზნეს-კლასი
   3. ორი: ეკონომ-კლასი (World Traveller) და ბიზნეს-კლასი (Club World)
10. დაასახელეთ ბრითიშ ეარვეისის პარტნიორი ავიაკომპანია, რომელიც უშუალოდ ახორციელებს თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისებს.
    1. BMED (რომელსაც აქვს ... ბრითიშ ეარვეისის ...)
    2. GB ეარვეისი
    3. კომეარი

# ამერიკული ეგზისტენციალიზმის თვითმარქვია კლოუნი

### ნობელისა და პულიტცერის პრემიის ლაურეატი სოლ ბელოუ 89 წლის ასაკში გარდაიცვალა

"პულიტცერის პრემია ინდაურებივით გაფხორილი იდიოტებისთვისაა მოგონილი. ეს არის ჯილდო, რომელსაც გაუნათლებელი უსაქმურები არიგებენ და საგაზეთო აჟიოტაჟისთვის შექმნილი სულელური ფანდია. თუ ამ პრემიას მიიღებ, სიცოცხლის ბოლომდე პულიტცერის მოსიარულე რეკლამად დარჩები, ხოლო როდესაც ფეხებს გაფშიკავ, ნეკროლოგში დაწერენ: "გარდაიცვალა პულიტცერის პრემიის ლაურეატი"...

ეს სარკაზმით აღსავსე სიტყვები სოლ ბელოუს ერთ-ერთი ნაწარმოების გმირს ეკუთვნის. არადა, თავად მწერალიც, რომელიც 6 აპრილს 89 წლის ასაკში გარდაიცვალა, პულიტცერის პრემიის ლაურეატი იყო. ალბათ, ამიტომაა, რომ მსოფლიო პრესა ამ ინფორმაციის გავრცელებისას აღნიშნულ პრემიას საერთოდ არ ახსენებს და, უბრალოდ, წერს: "გარდაიცვალა სოლ ბელოუ".

პულიტცერის პრემია ბელოუს შემოქმედების ერთ-ერთი მწვერვალია. მან ეს ჯილდო 1975 წელს, "ჰუმბოლტის ნიჭისთვის" დაიმსახურა, ხოლო ერთი წლის შემდეგ "მწერლის შემოქმედებაში არსებული ჰუმანიზმისა და თანამედროვე კულტურის ზუსტი ანალიზისთვის" ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. გარდა ამისა, ბელოუ სამჯერ ფლობდა ეროვნულ ლიტერატურულ პრემიას (National Book Award) და მიიღო ხელოვნების დარგის ეროვნული მედალი (National Medal of Arts),

სოლ ბელოუ (მისი ნამდვილი სახელია სოლომონ ბელოუსი) 1915 წელს კვებეკის პროვინციაში, ებრაულ ოჯახში დაიბადა. რამდენიმე წლით ადრე მისი მშობლები სანკტ-პეტერბურგიდან კანადაში გადავიდნენ საცხოვრებლად. ბელოუ ჩინებულად ფლობდა იდიშს, ხოლო ებრაული კულტურა მისი შემოქმედების ლაიტმოტივადაც იქცა. საკუთარ ნაწარმოებებში იგი ხშირად ეხმიანებოდა ებრაელთა მიერ ევროპულ და ამერიკულ საზოგადოებაში დამკვიდრებისა და თვითიდენტიფიკაციის თემას.

"სკოლაში არც ისე კარგად ვსწავლობდი, არც პოპულარობით ვსარგებლობდი. მხოლოდ იმით შემეძლო თავის გამოჩენა, რომ სიმაღლეში ხტომა მეხერხებოდა, რაღაც უხილავი ზამბარა თუ შინაგანი მზაობა მაძლევდა ძელზე გადაფრენის ძალას. სწავლა არ მიტაცებდა, მაგრამ ძალიან მიყვარდა კითხვა. ვკითხულობდი ყველგან, იმის ნაცვლად, რომ აქეთ-იქით მეცქირა. თუმცა, სანახავიც არაფერი იყო - სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე..." - იხსენებდა თავის მოგონებებში ბელოუ.



ლიტერატურული საქმიანობის დაწყებამდე ბელოუმ ჩიკაგოს ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტი დაამთავრა. შეისწავლა ანთროპოლოგია, შემდეგ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ნაწილის შემადგენლობაში ჩაირიცხა და მეორე მსოფლიო ომში წავიდა. სწორედ სამხედრო თემას ეხება მისი პირველი რომანი "ადამიანი ცასა და დედამიწას შორის" (Dangling Man). ნაწარმოები დღიურის ფორმითაა დაწერილი, რომლის გმირი სამხედრო გაწვევის მოლოდინში მყოფი ახალგაზრდა მამაკაცია. ომის დამთავრების შემდეგ ბელოუ მინესოტისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში ასწავლიდა და ლიტერატურას მეტ დროს უთმობდა.

პირველი რომანის შემდეგ მკითხველი მის მეორე ნაწარმოებს "მსხვერპლს" გაეცნო. თუმცა, სერიოზული აღიარება 1953 წელს გამოსულმა "ოგი მარჩის თავგადასავალმა" მოუტანა (ეროვნული პრემია წლის საუკეთესო ნაწარმოებისთვის). 50-იან წლებში ერთმანეთის მიყოლებით გამოიცა ბელოუს ნაწარმოებები "დაიჭირე დღე" და "ჰენდერსონი - წვიმის მბრძანებელი", ხოლო 1964 წელს გამოსული რომანი "ჰერცოგი" საერთაშორისო ბესტსელერად იქცა.

ის, რომ გასული საუკუნის ამერიკული ლიტერატურა შედგა, კრიტიკოსთა აზრით, სწორედ სოლ ბელოუსა და უილიამ ფოლკნერის დამსახურებაა. მათი აზრით, ბელოუმ საგრძნობლად გაზარდა თანამედროვე რომანის მნიშვნელობა და ახალი ფორმების დამკვიდრებაშიც მიაღწია წარმატებას. მაგალითად, "ჰერცოგში" იგი უარს აცხადებს სწორხაზოვან სიუჟეტზე, ლოგიკასა და მოტივაციაზე და წინა პლანზე გამოაქვს ადამიანის შინაგანი განცდები, ადამიანისა, რომელიც არ ემორჩილება ცხოვრების კანონებს.

სოლ ბელოუ ღრმა სიბერემდე აგრძელებდა წერას და არ უღალატია საფირმო მახვილგონიერებისთვის, რისთვისაც "ამერიკული ეგზისტენციალიზმის თვითმარქვია კლოუნიც" შეარქვეს. ლიტერატურაზე მეტად ვისკი და ლამაზი ქალები უყვარდა. ხუთჯერ იყო დაქორწინებული და 84 წლის ასაკში ქალიშვილის მამაც გახდა.

# ემინემის ოჯახური სიახლეები

### მისამართიდან: www.eminem.com

50 ცენტის მეტსახელით ცნობილი მუსიკოსი თავიდან შოუბიზნესმა ასე გაიცნო - ის ემინემის პროტეჟე იყო. მფარველობა თუ მეგობრობა კვლავაც გრძელდება. რეპერები ერთად აპირებენ ორთვიანი ტურნეს მოწყობას, რომელსაც ინდიანაპოლისში დაიწყებენ და ემინემის მშობლიურ ქალაქ დეტროიტში დაავგირგვინებენ.

ტურნეს Anger Management, ანუ ბრაზის გაკონტროლება ჰქვია (ეს ამ სათაურით გამართული მესამე ტურნეა) და სტარტს 8 ივლისს იღებს. როგორც წერენ, ეს პირველი შემთხვევაა ნოემბერში გამოსული ალბომის Encore-ის ("ბის!") საპრომოუტერო კონცერტების შემდეგ, როცა ემინემი კვლავაც ამერიკულ გზებს დაადგება და მსმენელს ჰიპ-ჰოპს უმღერებს.

50 ცენტი მას პირველ ორ კონცერტზე აუბამს მხარს. ეს შოუები ემინემის პროტეჟეს მარტში გამოსული ახალი კრებულის The Massacre-ის ("სისხლისღვრა") პოპულარიზაციაშიც დაეხმარება. თუმცა, პოპულარობა ალბომს არც ახლა აკლია.

ემინემი ამბობს: "ტურნეს დასაწყებად ზუსტად გვინდოდა დროის გათვლა. გვინდოდა, საუკეთესოდ მომზადებულები, საუკეთესო შემსრულებლებითურთ გამოვსულიყავით სცენაზე. მე ხომ ყოველთვის ვცდილობ ხოლმე, ახალი ტურნე ძველზე კარგი გამომივიდეს. ახლა ვფიქრობ, ნამდვილად ასე იქნება".

ემინემს ტურნეში ლუდაკრისიც გაჰყვება. მას გვერდიდან არ მოსცილდებიან არც ემინემის ხმის ჩამწერი კომპანიის "შეიდი რიქორდსის" წევრები, უფრო სწორად - "შეიდი რიქორდსის" ოჯახი წევრები - როგორც თვითონ უწოდებენ საკუთარ თავს. ემინემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ცნობაში ხომ საგანგებოდ არის აღნიშნული: "ეს ნამდვილი ოჯახური იდილია იქნება - 50 ცენტით და მთელი G-Unit-ით", ასევე ლილ ჯონით და მისი "ისთ საიდ ბოიზით".

რაც შეეხება მუსიკალურ მენიუს, ემინემი პირველად შეასრულებს ცოცხლად სიმღერებს კრებულიდან Encore. ასევე იქნება დუეტები D-12-თან, ობი ტრაისისთან და Atlanta's Stat Quo-სთან. ეს უკანასკნელი "შეიდის" ოჯახის სრულიად ახალი წევრია, მაგრამ უკვე ძალიან პოპულარული ამერიკულ პრესასა და რადიოშიც. გამიქსვასა და არანჟირებაზე კი ემინემის კიდევ ერთი "ძმა" - გრინ ლანტერნი იზრუნებს.

მოკლედ, ემინემი ამერიკას ცხელ ზაფხულს ჰპირდება. თავის ვებ-გვერდზე კი მაცდუნებლად წერს: "ვინც სამსახურებს თავს ვერ დაანებებთ, შეგიძლიათ რადიო "შეიდი 45"-ს უსმინოთ".

ეს ემინემის რადიოა, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ტურნეს პატარა წვრილმანებამდე გააშუქებს - კულისებში ჩაწერილი ინტერვიუებით და ცოცხალი შესრულებებით.

იმავე პერიოდში გამოვა 2002 წელს გამართული Anger Management-ის ტურნეს ჩანაწერის ციფრული ვიდეოდისკიც.

50 ცენტი კი მთელი ამ საზაფხულო გეგმების შესახებ ამბობს: "როცა მე და ემი (იგულისხმება ემინემი) ერთად ვაკეთებთ რაღაცას, უნდა იცოდეთ, რომ ეს უმაგრესი იქნება. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ტურნეს ზაფხულის მთავარ ტურნეს დაარქმევენ. ახლავე დაგეგმეთ შვებულება, სანამ სხვა დაგასწრებთ. ანდა, სულაც თავი დაანებენთ სამსახურს, რათა არც ერთი შოუ არ გამოტოვოთ".

ვინ წაყვება და რა რაოდენობით ემინემს ტურნეში, ჯერ უცნობია. თუმცა, ეს მუსიკალური მოგზაურობა ერთ-ერთი საუკეთესო რომ იქნება, ეს 50 ცენტთან ერთად სხვებმაც იციან.

ჰიპ-ჰოპის რიტმებით ემინემის დიდი ოჯახობა შემდეგ ქალაქებს შემდეგი თანმიმდევრობით შეესევა: ინდიანაპოლისი, ქოლამბასი, ჩიკაგო, დენვერი, სიეტლი, სან ხოსე, სან დიეგო, ლოს ანჯელესი, ლას ვეგასი, ფენიქსი, დალასი, სან ანტონიო, ატლანტა, ტამპა, ვესტ პალმ ბიჩი, ვაშინგტონი, ფილადელფია, ნიუ იორკი, ბოსტონი და ბოლოს - 12 და 13 აგვისტოს - დეტროიტი.

მაინც უნდა გაგიმეოროთ: 50 ცენტიც და ემინემიც მსმენელს ჰპირდებიან, რომ დეტროიტი ნამდვილი ფურორი იქნება, თითქმის ისეთივე ფურორი, როგორიც მათი 2003 წლის დეტროიტული კონცერტი იყო. ანუ, იქნება უამრავი Encore! - დეტროიტშიც და მანამდეც.


სახელი ____ მისამართი ____
გვარი ____
ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____
სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____ თარიღი ____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, [illegible] კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი


## TV პროგრამა

9 აპრილი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ძლიერი დარტყმა" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ვედრება" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.15** მხ. ფილმი "ფესვები" **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "აპრილის მზე" (18) **01.40** კურიერი **02.00** მხ. ფილმი "უსახო კაცი" (18)

### ISTI

**09.00** სტერეო-სტილი **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "კონანი და მისი მეომრები" მე-3 ს. **08.40** საბავშვო სერ. "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "დაწინაურება" **11.30** "ტაქსი" (გამ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "კატის კავშირი" **13.20** მხ. ფილმი "კოლხური ბალადა" **15.00** მუსიკა - ნატ კინგ კოლი **16.00** "ჰოლმარკი" - "მაიმუნების მეფე" 1-ლი ს. **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - "ჯვაროსნული ომების ხანა" 1-ლი ს. **18.00** "მთავარი" **18.10** არქივი - 21-ე საუკუნის ოქროს ფონდი **18.30** "მრწამსი" - გალობა **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- ბუდაპეშტი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერ. "დანაშაული" **21.30** "რაციო" - ლ. ბერძენიშვილი **22.30** "ჩვენ" **23.45** ბიოგრაფიული პორტრეტები - კონდოლიზა რაისი. **00.45** მხ. ფილმი "დაწყევლილი ქალაქი" (15) **02.00** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 14.00, 00.30** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ველური წარმატება" (გ) **13.15** "წმინდა მარინეს ცხოვრება" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** საწინდარი **20.10** საბავშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" **22.00** მხ. ფილმი "ჯენისი და ჯონსი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაციური ფილმი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** ანიმაციური ფილმი "კაზაკები" **11.00** სერიალი "ვუპი" **11.30** ტელეჟურნალი "სცენა" **12.00** სერიალი "კარაბინერები 2" **13.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. (განმ.) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** გადაცემა "მედი" **14.30** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** სერიალი "კარაბინერები-2" **18.20** მხ. ფილმი "სასიკვდილო თამაში" (გ) (ტიმ მეტისონი) **20.30** დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** ფარული კამერა **22.00** კრიმ. სერიალი "სთშ" **23.00** მხ. ფილმი "მაგიის სალონი" (12) (ემანუელ ბეარი) **00.30** მხ. ფილმი "მსახიობები" (18) (ალენ დელონი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** ტელეზღაპარი **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. ფილმი "გახსოვდეთ ბიზანტია" **21.20** კინოსეანსი "მშვენიერი ხანა"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **09.10, 02.20** იმედის მელოდიები **09.30** ანიმ. ფილმი "შავი მეკობრე" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "დილის ფოსტა" **12.40, 16.25, 01.50** ტვ-მარკეტი **13.20** მხ. ფილმი "უკანასკნელი კოცნა" (გ) (ს. სანდრელი) **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.00** სერიალი "ოცნების სანაპირო" **21.00** ტვ-ლოტო **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** მულტფილმი **10.30** დოკ. ფილმი "ბარბაროსები" (გან) **11.30** თეატრი **14.30** "ფეხბურთი და ჩვენ" **15.15** კომედია "კიდევ რაღაც" **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30, 20.30** საინფორმაციო გამოშვება **17.55** სათავგადასავლო ფილმი "ფანფან ტულპანი" **20.05** "ზ.თ" **21.05** "ფერისცვალება" **21.30** "ჩვენი საუნჯე" ლიტერატურულ-შემეცნებითი გადაცემა **21.45** თრილერი "რეკრუტი" **23.45** მუსიკა **00.00** საინფორმაციო დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "მომკალი ნაზად"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Сериал **"ДЕСЯТОЕ КОРОЛЕВСТВО". 06.30** Лидия Пупуре в детективе **"ШАХ КОРОЛЕВЕ БРИЛЛИАНТОВ". 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** Андрей Макаревич в программе "Три окна". **10.40** "Кумиры". Борис Грачевский. **11.20** "Встань и иди". **12.10** История с географией. "Подземный рейх". Фильм 1-й. **13.00** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.30** Умницы и умники. **14.10** "Слабое звено" **15.00** Алексей Гуськов в фильме **"РАСКАЛЕННАЯ СУББОТА" 17.00** Люди лучше, чем кажутся, в программе "Прости". **17.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** "Ералаш". **30** лет. Праздничная программа. **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Венсан Кассель в мистическом боевике **"БЛУБЕРРИ".** XIX век, 70-е годы. Шерифу маленького городка Паломито Майку Блуберри долго пришлось завоевывать доверие индейцев, спасших его от не гибели. Неожиданно в поселке появляется незнакомец, в котором Майк узнает своего заклятого врага Уолли Блаунта, человека, убившего его возлюбленную 20 лет назад. Блаунт не зря появился в этих местах: он хочет добраться до золота, спрятанного на территории священного индейского поселения. **02.00** Мэгги Смит в детективе **"ГОСФОРД - ПАРК".** Ноябрь 1932 года. Старинное поместье Госфорд Парк принимает гостей. Хозяин роскошного особняка сэр Уильям Маккордал и его жена леди Сильвия пригласили на уик-энд друзей, родственников и знатных аристократов поохотиться и повеселиться. Время препровождение обещает быть более, чем приятным: слуги вымуштрованы безукоризненно, кухня всегда отменная. Но неожиданно, праздник омрачается: сэра Уильяма находят мертвым. Прибывшая полиция требует, чтобы никто не покидал дом. Виновным может оказаться каждый из присутствующих. **04.30** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ". 05.20** "Русский экстрим".

### НТВ

**06.10** Мультфильм "Каникулы Бонифация". **06.30** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 9**-10 с. закл. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Ну, погоди!" **08.25** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: ДВОЙНОЕ РАЗОБЛАЧЕНИЕ". 08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.20** Валерий Золотухин в программе "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** "Особо опасен!" "Ударная доза". **13.55 Чемпионат России по футболу.** "Динамо" - "Сатурн". **16.20** "Женский взгляд". Виталий Смирнов. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". "ЭМБАРГО НА ЖЕНЩИН". 19.35** Профессия - репортер. **20.05** Премьера. "Программа максимум". Скандалы. Интриги. Расследования. **20.55** Сильвестр Сталлоне в боевике **"РАЗРУШИТЕЛЬ". 23.25** "Мировой бокс". **00.20** Лоридана Кеннета в фильме **"ПОЖИРАТЕЛЬНИЦА МУЖЧИН".** Студент журфака знакомится с молодой женщиной и проводит с ней ночь. Номер телефона, который она оставила ему, оказывается неверным. И пока он пытается разыскать ее, она проводит свободное время с разными мужчинами. Наконец отыскав ее, он застает ее занимающейся сексом с двумя парнями... **02.05** Футбол в разрезе. **02.45** Омар Шариф в фильме **"ДОКТОР ЖИВАГО".** Драматическая история доктора Живаго дана через переплетение судеб множества персонажей. Это рассказ о личной борьбе за выживание и обширная панорама страны, корчащейся в революционных муках.

# ჟორდანიას მემკვიდრეობას 10 ივნისს გადაიბარებენ

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართება აღმასკომის სხდომა, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს განიხილავს. "ამ სხდომაზე გადაწყდება რიგგარეშე ყრილობის ჩატარების საკითხი, რომელზეც ფედერაციის ახალ პრეზიდენტს აირჩევენ", - განუცხადა "24 საათს სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

"სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტი 21 წევრისგან შედგება. იმისთვის, რომ კვორუმი იყოს და აღმასკომმა გადაწყვეტილებები მიიღოს, სხდომას 12 წევრი უნდა ესწრებოდეს. ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით აღმასკომის 15 წევრს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ხვალინდელ სხდომაში მონაწილეობაზე. აღმასკომის 15-კაციან შემადგენლობას სრულიად კანონიერად შეუძლია სხდომის ჩატარება და ლეგიტიმური გადაწყვეტილებების მიღება", - აღნიშნა ჩოლარიამ.

აღმასკომის სხდომის დღის წესრიგში ჯერჯერობით ორი საკითხია, თუმცა, ექვგარეშეა, ფედერაციის მმართველ ორგანოს კიდევ ერთი საკითხის განხილვა მოუწევს. კერძოდ, აღმასკომმა რომელიმე საფეხბურთო ჩინოსანს უნდა დააკისროს სფფ-ს პრეზიდენტის მოვლეობის შესრულება ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

"აღმასკომის სხდომის დღის წესრიგში ორი საკითხია შეტანილი: დაკავებული პოსტიდან გადადგომის თაობაზე სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას მიერ დაწერილი განცხადების განხილვა-დაკმაყოფილება და რიგგარეშე ყრილობის ჩატარების თარიღის დანიშვნა. იმ შემთხვევაში, თუ აღმასკომი დააკმაყოფილებს ჟორდანიას განცხადებას (ალბათ ამას ხელს არაფერი შეუშლის), მესამე საკითხად პირადად მე დავაყენებ ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლის არჩევის საკითხს. აღმასკომის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს, წამოაყენოს კანდიდატურა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იქნება მოვალეობის დროებით შემსრულებელი და ამ პოსტზე დარჩება რიგგარეშე ყრილობის ჩატარებამდე, თუ, რა თქმა უნდა, მისი კანდიდატურა ყველა შესაბამისი პროცედურის დაცვით არ გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებში", - განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

სფფ-ს გენერალურ მდივანს ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდების შესაბამისად უკვე მომზადებული აქვს აღმასკომის მიერ დასამტკიცებული დადგენილების პროექტი.

"წესდების შესაბამისად, დადგენილების პროექტში რიგგარეშე ყრილობის ჩატარების ვადად განსაზღვრულია 2005 წლის 10 ივნისი, ხოლო კანდიდატურების წამოყენება შეწყდება ერთი თვით ადრე, ანუ 10 მაისს. იმის გამო, რომ მორიგი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა 2007 წელს უნდა ჩატარდეს, 10 ივნისს გამარჯვებული კანდიდატურა სფფ-ს პრეზიდენტის პოსტს მხოლოდ 2 წლით დაიკავებს, ხოლო შემდეგ ხელახალი არჩევნები ჩატარდება", - აღნიშნა ჩოლარიამ.

ფეხბურთი

# ალექსანდრე ჩივაძე - 50

ლაშა გოდუაძე

კაფე "მსოფლიო სპორტში" შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელის ალექსანდრე ჩივაძის 50 წლის იუბილე მოკრძალებულად აღინიშნა.

თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კაპიტნის ორმოცდამეათე დაბადების დღე გაცილებით ლამაზად უნდა აღნიშნულიყო, თუმცა, არანაკლებ სახელოვანი ფეხბურთელის გივი ნოდიას უეცარი გარდაცვალების გამო თითქმის ყველა დაგეგმილი ღონისძიება მომავლისთვის გადაიდო.

იუბილარმა ალექსანდრე ჩივაძემ მეგობრებს, თანაგუნდელებს, უცხოელ სტუმრებს და ჟურნალისტებს უმასპინძლა. ღონისძიებას 70-80-იანი წლების "დინამოს" სახელოვანი მოთამაშეებიც ესწრებოდნენ, მათ შორის, რამაზ შენგელია, ოთარ გაბელია, თენგიზ სულქველიძე... სპეციალურად ამ დღისთვის თბილისში ჩამოფრინდა საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი მწვრთნელი ივო შუშაკი, იუბილარს უკრაინიდან ეწვია ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბორის ვოსკრესენსკი. მრავლად იყვნენ გულშემატკივრები, სულ ბოლოს კი კაფეში შეკრებილთ თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი და ქალაქის სპორტის სამსახურის უფროსი გიორგი უდესიანიც ეწვივნენ.

იუბილე ალექსანდრე ჩივაძეზე შექმნილი კლიპით დაიწყო - გულშემატკივრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ტყავის ბურთის უბადლო ოსტატის შესანიშნავი თამაშები. იქვე ითქვა, რომ დაგეგმილია ჩვენი ფეხბურთის ლეგენდაზე დოკუმენტური ფილმის გადაღებაც.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა, ზაზა ბეგაშვილმა და გიორგი უდესიანმა დაბადების დღე მიულოცეს დინამოელთა ლეგენდარულ კაპიტანს და ხაზი გაუსვეს, რომ ფეხბურთი სწორედ ჩივაძის და მისი შესანიშნავი თანაგუნდელების ბრწყინვალე თამაშმა შეაყვარა. მათივე თქმით, მუშავდება პროექტი, რომლის მიხედვით ქალაქში ორმოცდაათამდე საფეხბურთო სტადიონი უნდა აშენდეს...

უკრაინელმა სტუმარმა გულთბილად ისაუბრა ალექსანდრე ჩივაძეზე, გაიხსენა არაერთი შესანიშნავი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან და რამდენიმე საჩუქარიც უსახსოვრა, მათ შორის, სამი დიდი ფოტოსურათი, სამახსოვრო საათი და უკრაინის ნაკრების სამნომრიანი მაისურა, რომელსაც ზურგზე ამშვენებდა წარწერა "ჩივაძე". ამასთან დაკავშირებით ბორის ვოსკრესენსკიმ იხუმრა კიდეც, ჩვენს გუნდს საშას დარი მცველი რომ ჰყავდეს, მსოფლიო ჩემპიონატზე აქამდეც უეჭველად მოვხვდებოდითო... საინტერესოა, რომ მან დედაქალაქის მერიც დაასაჩუქრა.

ივო შუშაკმა, თავის მხრივ, ალექსანდრე ჩივაძეს ხორვატიის ნაკრების მაისურა გადასცა 50-ე ნომრით, რომელსაც "საშა" ეწერა. საინტერესო ამბები, ცხადია, მანაც გაიხსენა.

იყო თანაკლუბელთა მოგონებები, შამპანურით იუბილარის დალოცვა, თუმცა, აშკარა გახლდათ, რომ "მსოფლიო სპორტში" შეკრებილთ, გასაგები მიზეზის გამო, დიდად არ ეზეიმებოდათ.

ალექსანდრე ჩივაძის განცხადებით, ის ღონისძიებები, რომელიც გუშინდლისთვის იგეგმებოდა, მაისისთვისაა გადატანილი. სავარაუდოდ, კაპიტნის იუბილე სათანადოდ 13 მაისს აღინიშნება.

ინფოთეკა

## გრემ სუნესი შედეგით კმაყოფილია

"ნიუკასლის" მთავარმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა განაცხადა, რომ უეფას თასის მეოთხედფინალურ ეტაპზე "სპორტინგთან" ჩატარებული მატჩის შედეგით ძალიან კმაყოფილია ("ნიუკასლმა" 1:0 მოიგო).

"მიხარია, რომ ყველაფერი ზუსტად ისე დამთავრდა, როგორც ველოდი. მართალია, ჩვენი საუკეთესო ფეხბურთი არ ვითამაშეთ, მაგრამ ჯერ ერთი, მოვიგეთ, მეორეც - ბურთი არ გაგვიშვია. ჩვენ ვითამაშეთ გუნდთან, რომელსაც დიდი ხნით ბურთის კონტროლი უყვარს. ვერ ვიტყვი, რომ ამ საქმეში მაინცდამაინც შევუშალეთ ხელი. საერთოდ, ბედნიერი ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთზე დავიწყეთ საუბარი, რადგან ბოლო ხანებში ჩვენი ფეხბურთელების საქციელზე გვიხდებოდა კომენტარის გაკეთება", - განაცხადა სუნესმა. ამ შემთხვევაში მან იგულისხმა კირონ დაიერისა და ლი ბოიერთან დაკავშირებული სკანდალური ამბავი, როცა ეს ორი ფეხბურთელი პირდაპირ მოედანზე დაერია ერთმანეთს.

## "მიდლსბროც" ჩაება პანდიანისთვის ბრძოლაში

"მიდლსბროს" მთავარმა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა განაცხადა, რომ მისი სურვილია გუნდში ურუგვაელი ფორვარდი ვალტერ პანდიანი იხილოს. ამჟამად ეს ფეხბურთელი იჯარის წესით თამაშობს ინგლისური პრემიერ-ლიგის სხვა გუნდში - "ბირმინგემში". მასზე უფლება აქვს "დეპორტივოს", რომლის ხელმძღვანელობაც ფეხბურთელისთვის სამ მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვს.

"ბირმინგემი" მზადაა პანდიანი ამ თანხის საფასურად შეიძინოს, თუმცა, "მიდლსბროსაც" შეუძლია, "ბირმინგემს" ამ მხრივ კონკურენცია გაუწიოს.

ნებისმიერ შემთხვევაში ურუგვაელი ფეხბურთელი "დეპორტივოში" აღარ დაბრუნდება. ამის შესახებ იტალიური კლუბის მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ გააკეთა განცხადება.

ჯერჯერობით უცნობია თავად ფეხბურთელის აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით.

## "შალკეს" სტადიონს სახელი შეეცვლება

ამბობენ, რომ გერმანული კლუბი "შალკე" უახლოეს ხანში სახელს შეუცვლის თავის საშინაო სტადიონს. ამის მიზეზი შესაძლოა გახდეს კორეულ ფირმა "სამსუნგთან" გაფორმებული ახალი სპონსორული კონტრაქტი. შეთანხმების თანახმად, სპონსორს სრული უფლება ექნება სტადიონს სურვილისამებრ შეუცვალოს სახელი.

## რაიკაარდსა და ფრისკს მართლაც უსაუბრიათ ერთმანეთთან

უეფამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩემპიონთა ლიგის "ბარსელონასა" და "ჩელსის" მატჩის შესვენების დროს მართლაც გაიმართა დიალოგი, როგორც ამას ლონდონის "ჩელსის" თავკაცი ჟოზე მოურინიო ამტკიცებდა, "ბარსელონას" მთავარ მწვრთნელს ფრანკ რაიკაარდსა და მატჩის მსაჯს ანდერს ფრისკს შორის. უეფას წარმომადგენლის განცხადებით, მათ ამის შესახებ შეატყობინა თავად შვედმა არბიტრმა, რომელმაც, მოგეხსენებათ, კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება.

"მსაჯმა გვითხრა, რომ შესვენების დროს ნამდვილად გაესაუბრა რაიკაარდს. "ბარსელონას" მწვრთნელს მასთან მისალმება სურდა, შემდეგ კი გასაუბრებაც მოუნდა, თუმცა, ფრისკმა უთხრა, რომ საუბრისთვის შეუფერებელი დრო იყო", - ვკითხულობთ განცხადებაში.

როგორც ცნობილია, "ჩელსის" მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ რაიკაარდი მატჩის არბიტრზე ზეწოლაში დაადანაშაულა, ფრისკმა კი ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო იმ მოტივით, რომ უცნობი პირები მისი ოჯახის წევრებს ემუქრებოდნენ. თავის მხრივ, მოურინიომ უეფასგან ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

## "ასტონ ვილას" კაპიტანი თვენახევარი დაისვენებს

"ასტონ ვილას" კაპიტანი ოლოფ მელბერგი მუხლის ტრავმის გამო ექვს კვირას ვერ გამოვა მოედანზე. ეს ტრავმა შვედმა მცველმა ახლახან "ნიუკასლთან" მატჩის დროს მიიღო.

"მარჯვენა მუხლთან დაკავშირებით პრობლემები ადრეც მქონდა, თუმცა, ამ მატჩის დროს უფრო გამირთულდა", - განაცხადა მელბერგმა.

## "იუვენტუსის" გულშემატკივრების მუქარა ინგლისელებისადმი

იტალიელი წესრიგის დამცველები უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას აპირებენ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "იუვენტუსისა" და "ლივერპულის" განმეორებითი მატჩის დროს. ამის მიზეზი იტალიელი გულშემატკივრების გარკვეული ჯგუფის მიერ ინგლისელი ოპონენტების მისამართით ინტერნეტით გავრცელებული მუქარით სავსე სიტყვებია. ისინი ინგლისელებს დაჰპირდნენ, რომ გაიმეორებდნენ 20 წლის წინანდელ ტრაგედიას, როცა ბელგიის "ეიზელის" სტადიონზე, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ, "ლივერპულისა" და "იუვენტუსის" გულშემატკივრების შეტაკების დროს 39 ადამიანი დაიღუპა.

"შურისძიების დრო დადგა", - წერია "იუვეს" ფანების განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ საპასუხო მატჩი 13 აპრილს ტურინში გაიმართება. ლივერპულში ჩატარებული პირველი შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით 2:1 დამთავრდა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

კრივი

# მიდის, მოდის, მაგრამ ერთ ადგილზე დგას




*გინდ დაიჯერეთ გინდ არა, ტაისონი ვარჯიშს შეუდგა.*

ბიგა გურასაშვილი

*ეს კაცი ხან მიდის, ხან მოდის. კვირაში ცხრა პარასკევი აქვს, უკვე ნაკლებად სარწმუნო ჩანს მისი ნებისმიერი ქმედება თუ განცხადება, მაგრამ სხვა რა გზაა, მაინც რაღაც უნდა ვთქვათ.*

ამბობენ, მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, ოდესღაც მძიმეწონოსანთა დივიზიონის გამგებელი მაიკ ტაისონი ფინიქსის (არიზონას შტატი) სპორტულ დარბაზში "Central Boxing"-ში ახალი მწვრთნელის, მსოფლიოს სამგზის ყოფილი ჩემპიონის ჯეფ ფენეკის მეთვალყურეობით ვარჯიშს შეუდგაო. ჯეფ ფენეკი კი ის კაცია, რომელმაც "რკინის მაიკს" მძიმეწონოსანთა ზეპურ საზოგადოებაში დაბრუნების პირობა მისცა. რა გამოვა აქედან, ახლა ძნელი სათქმელია, რადგან, ტაისონისვე ხასიათიდან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთ დღესაც ყველაფერზე უარი თქვას.

თუ ტაისონის მენეჯერს შელი ფინკელს დავუჯერებთ, მაიკი რინგზე ივნისში უნდა გამოჩნდეს, მეტოქედ კი ირლანდიელი კევინ მაკბრაიდი გვყავს შეგულებულიო.

თუ სასწაული მოხდა და ივნისში "რკინის მაიკმა" გაიმარჯვა (რომელიც აქამდე წელიწადში ერთხელ ირგებდა ხელთათმანებს), ტრადიციას დაარღვევს და მომდევნო ორთაბრძოლას აგვისტოში გამართავსო. თუ აქაც სასწაულის მოწმენი შევიქენით და ტაისონმა დაახლოებით თვენახევარში შეძლო სპორტული ფორმის აღდგენა, გამორიცხული არაა, ახლო მომავალში ჯეიმს ტონის, ან ევანდერ ჰოლიფილდს, ამასთან, მესამედ შეხვდეს.

სხვათა შორის, კევინ მაკბრაიდის გარდა, ჯეფ ფენეკმა ტაისონის შესაძლო მეტოქეთა შორის ავსტრალიელი ბობ მიროვიჩიც ახსენა, მაგრამ ეგაა, თავის მხრივ, ავსტრალიელმაც უნდა გამოიჩინოს თავი. იმისთვის, რომ მიროვიჩი ტაისონის მეტოქე გახდეს, 12 მარტს გერმანელ ტიმო ჰოფმანს გერმანიაშივე უნდა სძლიოს.

ადრე არაერთხელ ითქვა, მაიკის რინგზე დაბრუნება ნაკლებად სარწმუნოდ ჟღერსო. მეტიც, შესაძლოა, საერთოდ კრივზე უარი თქვასო. თავის მხრივ, "რკინის მაიკმაც" არაერთხელ განაცხადა, რომ კარიერის დასრულება სურდა. მაიკს კვერს უკრავდნენ მისი მეგობრებიც. ტაისონი საკუთარ განზრახვაში სერიოზულიაო.

ერთი სიტყვით, საქმე ასეა და რა როგორ იქნება, ივნისში გამოჩნდება, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე რაიმე შარში არ გაეხვია.











თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.